# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 2 სექტემბერი 2005 №200 (2523) ფასი 50 თეთრი


**რონალდინიომდე რობინიომ მესის აჯობოს**

ინტერვიუ ფრანკ რაიკარდთან

6



სამეფო რბოლების ლეგენდა



ჯონ სარტისი

14



**ნიგერიელი უკრაინელს ემუქრება**

პიტერი კლიჩკოს ნოკაუტს უპირებს

15

# შეკრება გამოკლებით

## ალექსანდრე იაშვილმა ნაკრები დატოვა



გუშინ ალექსანდრე იაშვილმა საქართველოს ნაკრები დატოვა. ნაკრების ხელმძღვანელობა ოფიციალურ ინფორმაციას ჯერჯერობით არ ავრცელებს, თუმცა, როგორც შევიტყვეთ, ფეხბურთელმა ასეთი გადაწყვეტილება მწვრთნელ გაიოზ დარსაძესთან უთანხმოების გამო მიიღო.

# ქართველებს სიმშვიდის იმედი აქვთ, უკრაინელებს — ღონის







ბადრი კეთილაძის ფოტო

# გასვლა-გამოსვლა

## ეროვნულები ვაკეში, ახალგაზრდულები დიდუბეში

ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების სტადიონები ისევ შეიცვალა. გახსომებათ, საქართველო-უკრაინის ეროვნულ გუნდთა მატჩი თავიდან „მიხეილ მესხზე" უნდა გამართულიყო, ახალგაზრდულების კი „ეროვნულზე". მერე ითქვა, უსაფრთხოების დაცვის მიზნით და უკეთესი საფარის გამო სტადიონები გაიცვალაო და ამის შესახებ მხარეებმა შეთანხმებასაც მიაღწიეს, თუმცა... საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, რაკი „ეროვნულის" განათება ვერ აკმაყოფილებს უეფას მოთხოვნებს, სტადიონები აღარ გაიცვლება. მოკლედ, ასეა: 2 სექტემბერს, 19 საათზე, „ეროვნულზე" საქართველო-უკრაინის ახალგაზრდულ ნაკრებთა მატჩი გაიმართება, 3 სექტემბერს კი ეროვნულები „მიხეილ მესხზე" შეხვდებიან ერთმანეთს — მატჩის დასაწყისი 20.15 საათია.

გუშინ თბილისში უკრაინის ახალგაზრდული ნაკრები ჩამოვიდა, დღეს კი ოლეგ ბლოხინის გუნდის ჯერია — უკრაინის ნაკრები ნაშუადღევისთვის ესტუმრება საქართველოს დედაქალაქს. 21-წლამდელები სასტუმრო „შერატონში" დაბინავდნენ, მთავარი ნაკრები კი „მარიოტში" დაიდებს ბინას.

შეგახსენებთ, რომ მატჩის პირდაპირ რეპორტაჟს ტელეკომპანია „იმედი" გადასცემს, იმავე დროს კი, გულშემატკივრებისთვის თავისუფლების მოედანზე დიდ ეკრანს დაამონტაჟებენ და ვისაც სურვილი აქვს, ევროპაში ნაცადი მეთოდითაც შეეძლება საქართველო-უკრაინის შეხვედრისთვის თვალის დევნება.

**კახა შალამბერიძე**



# კალაძე ტორპედოში



„თბილისიდან" ზამთარში წასულმა ანზორ კალაძემ რუსეთში კარგა ხანს კლუბიდან კლუბში იმოგზაურა, მაგრამ ვერსად მოიკიდა ფეხი. 20 წლის მცველი ჯერ „სატურნის", შემდეგ „სპარტაკის", ბოლოს კი „მოსკვას" დუბლებში გამოჩნდა, თუმცა იშვიათად უწევდა მინდორზე გასვლა.

გუშინწინ კი კალაძე მოსკოვის „ტორპედოში" ჩაირიცხა, სადაც ერთი თვის წინ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველი ბექა ჟღენტიც გადავიდა.

**ილია ნანობაშვილი**

# ყველა, დემეტრაძის გარდა

## ქართველები ტრანსფერზე და დუბლებში



**რუსული პრემიერლიგის ვლადიკავკაზის „ალანიამ" შვიდი ფეხბურთელი ტრანსფერზე დააყენა, რომელთაგან ექვსი ქართველია: ვიტალი დარასელია, ლადო ბურდული, ჯაბა კანკავა, ლევან გვაზავა, დავით კვირკველია და გიორგი შაშიაშვილი. ერთი სიტყვით, ალანიელ ქართველთაგან რისხვას მხოლოდ გიორგი დემეტრაძე გადაურჩა, არადა, თუ შაშიაშვილი, გვაზავა და კანკავა არცთუ ხშირად ხვდებოდნენ „ალანიას" ძირითად შემადგენლობაში, დარასელია, კვირკველია და ბურდული გუნდის წამყვანი ფეხბურთელები იყვნენ. „ალანია" რუსეთის პრემიერლიგაში ახლა მე-14 ადგილზეა და, ცხადია, არგავარდნისთვის იბრძვის. მოკლედ, ალანიური ამბები გიორგი შაშიაშვილს გამოვკითხეთ...**

— კლუბის პრეზიდენტმა სერგეი ტაკოევმა დაგვიბარა და გვითხრა, გუნდის მწვრთნელს, იცხაკ შუმს ქართველები აღარ უნდიხართო. ტაკოევი თბილად გველაპარაკა და ვიგრძენით, რომ ასეთი გადაწყვეტილების ინიციატივა მისგან არ მოდიოდა. რა გაეწყობა, ეს ფეხბურთია და ასეთებიც ხდებაო, გვითხრა ბოლოს მან.

**— „ალანია" აღებული ვალდებულებების შესრულებაზეც ხომ არაა უარს?**

— არა, კონტრაქტით გათვალისწინებულ ხელფასს მაინც ავიღებთ, მაგრამ ჩვენი ტრანსფერზე დაყენების შესახებ სატრანსფერო ფანჯრის დახურვის ბოლო დღეს გვითხრეს — დეკემბრამდე სხვა გუნდში ველარ გადავალთ.

**— ვერც იმ შემთხვევაში, თუ შემოთავაზება ქართული კლუბიდან იქნება?**

— არ ვიცი, ვერ გეტყვი.

**— „ალანიასთან" ქართველებს კონტრაქტი კიდევ რამდენი ხნით გაკავშირებთ?**

— მე, ბურდულსა და კვირკველიას 2007 წლამდე, დარასელიას და კანკავას, მგონი, უფრო მეტი ხნით.

**— „ალანიას" პირველ გუნდში ველარ ივარჯიშებთ?**

— ამიერიდან ტრანსფერზე დაყენებულმა ფეხბურთელებმა დუბლებში უნდა ვივარჯიშოთ და ვითამაშოთ.

**დავით თავართქილაძე**

# ბლექბერნ როვერსი ანუ სად წავიდა ხიზანიშვილი

ზურაბ ხიზანიშვილის ახალ კლუბს, „ბლექბერნ როვერსს" 130-წლიანი ისტორია აქვს. მართალია, ტიტულებით დიდად ვერ იტრაბახებს, მაგრამ, განა 130 წელიწადი ცოტას ნიშნავს?!

„ბლექბერნი" 1875 წელს დაარსდა და ასოციაციის თასი მე-19 საუკუნეში ექვსჯერ მოიგო. მეოცე საუკუნეში კი „ბლექბერნი" ოდენ ორ თასს დასჯერდა — გრემ სუნესის ხელმძღვანელობით ლიგის თასი სამი წლის წინ მოიპოვა, ხოლო 1987 წელს FULL MEMBERS CUP აწია. მაშინ „ბლექბერნში" წითური მცველი კოლინ ჰენდრი თამაშობდა და ფინალში „ჩარლტონს" გამარჯვების გოლიც გაუტანა — ჰენდრი ქართველ ქომაგს, ალბათ, უფრო შოტლანდიის ნაკრებში თამაშით უნდა ახსოვდეს...



ზურაბ ხიზანიშვილი და მარკ ჰიუზი

1991 წელს „ბლექბერნის" გაწვრთნა სახელოვან კენი დალგლიშს მიანდეს — გუნდი ინგლისის უმაღლესი დივიზიონიდან გავარდნილიყო და მხსნელად შოტლანდიელს უხმეს. არც შემცდარან — მომდევნო წელს ინგლისის საუკეთესო ლიგა პრემიერლიგად გადაკეთდა და ფულშემატებულმა ბლექბერნელებმა ალან შირერი შეიძინეს „საუთჰემპტონიდან".

პირველ პრემიერლიგურ სეზონში „ბლექბერნი" მეოთხე ადგილზე გავიდა, მომდევნოში კი მეორეზე — ჩემპიონ „მანჩესტერ იუნაიტედს" რვა ქულით ჩამორჩა. მესამე ჯერზე, 1995 წელს კი „ბლექბერნი" ინგლისის ჩემპიონი გახდა — შირერი, კრის სატონი, დევიდ ბეტი, გრემ ლე სო — აი, ასეთი ხალხი ჰყავდა მაშინ „ბლექბერნს".

...მარკ ჰიუზი „ბლექბერნს" შარშანდელი სექტემბრიდან წვრთნის. ფეხბურთელ ჰიუზს სანაკრებო დონეზე ბევრი ვერაფრისთვის მიუღწევია, მაგრამ ეს უელსელი „მანჩესტერში" ჩინებულად ფორვარდობდა. მის განკარგულებაში ახლა რამდენიმე გამოცდილი ოსტატია — აშშ-ს ნაკრების მეკარე ბრედ ფრიდელი, ექსრეინჯერსელი მცველი ლორენცო ამორუზო, სლოვაკი შუახაზელი ვრატისლავ გრეშკო, შოტლანდიელი მცველი დომინიკ მატეო, უელსელი შემტევი კრეიგ ბელამი... მაგრამ ყველაზე კოლორიტული კაცი „ბლექბერნში" თუგაი ქერიმოღლუ უნდა იყოს, 35 წლის თურქი პლეიმეიკერი.

სანაკრებო შესვენების შემდეგ პრემიერლიგა 11 სექტემბერს განახლდება, „ბლექბერნი" „ბოლტონს" ესტუმრება და ვინძლო ხიზანიშვილის დებიუტიც მაშინ შედგეს.

**ნიკა ჯორჯაძე**

# 2006 წლის ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

თბილისი. 2 სექტემბერი. 19 საათი. ეროვნული

## საქართველო U21 — უკრაინა U21



# ქართველები დიდ უკრაინელებს მშვიდად უყურებენ

*ქართველი 21-წლამდელები 29 აგვისტოდან მცხეთაში ვარჯიშობდნენ, გუშინ კი თბილისში, „ეროვნულზე" შეაბიჯეს. კობა ჟორჟიკაშვილს 18 ფეხბურთელი ჰყავს, თუმცა ყაზახეთში გაძევებული მცველი გიორგი ელბაქიძე დღეს ვერ ითამაშებს. ვარჯიშზე ფეხი დაიზიანა ფორვარდმა რატი წინამძღვრიშვილმა, თუმცა სავიშვიშო არაფერია — ექიმებმაც თქვეს, რატის მინდორზე გასვლაში ხელი არ შეეშლებაო.*

*ჟორჟიკაშვილმა მცირე მოთელვის შემდეგ ფლანგიდან ჩაწოდებებსა და სტანდარტულებში ავარჯიშა ბიჭები, მერე კი ნახევარ მოედანზე ორკარა გაჩაღდა. მთლიანობაში ცხრა პირი ოფლის მომდენი დატვირთვები არ ყოფილა. ქართველთა შემდეგ უკრაინელი ახალგაზრდებიც შეესივნენ „ეროვნულის" მინდორს.*

*უკრაინელებს ტანადი ფეხბურთელები ჰყავთ, რომელთა შორის ალექსანდრ ალიევი ლილიპუტად მოგეჩვენებოდათ. არადა, ეს ბიჭი უკრაინის ყველაზე პერსპექტიული ფეხბურთელია და ამას წინათ გასრულებულ 20-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ფანტასტიკურად იბურთავა.*

*ქართველებზე ტანადები და ღონივრები — ეს სიტყვები ყველა სტუმარი გუნდის აღწერისას ტრადიციად გვექცა, მაგრამ თამაშს მხოლოდ გაბარიტები რომ არ იგებენ, ესაც ხომ ფაქტია...*



ცხადია, **კობა ჟორჟიკაშვილი** რთულ თამაშს ელის და არც ის ავიწყდება, რომ უკრაინელებს ქართველებთან ასაკში უპირატესობა აქვთ.

და მაინც, მწვრთნელმა ჯგუფიდან გასვლის შანსი ახსენა და რატომაც არა, მეორე ადგილი ცხრა მთას იქით როდია...

— ძალიან მნიშვნელოვანი თამაშია. ჩვენი ბიჭებისთვის დიდი გამოცდა იქნება მათზე ოდნავ, მაგრამ მაინც უფროს მეტოქესთან ბრძოლა.

**— ყაზახეთთან ნახევარდაცვის ცენტრში ბექა ჟღენტი და გოგიტა გოგუა გყავდათ. მათ შეცვლას როგორ აპირებთ?**

— ამ ნაკრებში პირველი მატჩისას ნახევარდაცვის საყრდენად ჯაბა კანკავა დავაყენე, შემდეგ გოგუა. მივესალმები, რომ დღეს ორივე მათგანი ეროვნულ ნაკრებშია. ჩემი მუშაობის მიზანიც ხომ სწორედ მთავარი ნაკრებისთვის ფეხბურთელების მიწოდებაა. ისე, ნახევარდაცვის ცენტრს დიდ ყურადღებას ვაქცევ, ამ ადგილზე კახა მახარაძეს, გიორგი ჩირიკაშვილსა და მირზა ბჟალავას შეუძლიათ თამაში. შესაძლოა, ეროვნული ნაკრებიდანაც დავიმატოთ ერთი-ორი ფეხბურთელი.

**— კერძოდ, ვინ?**

— ჯერჯერობით, არ ვიცი.

**— თქვენ ვისი დამატება გსურთ?**

— ნებისმიერის, იგივე განუგრავა, კანკავა, გოგუა...

**— უკრაინელების თამაშების ფირებს ნახავდით. რა შთაბეჭდილება დაგრჩათ?**

— მადლობას ვუხდი გოჩა ტყებუჩავას, რომელმაც გადმოგვცა ფირები. უკრაინის რამდენიმე თამაში, მათ შორის ქართველებთან მოგებული 6:0 ვნახე. ყველა რგოლი ნორმალური ჰყავთ, განსაკუთრებით კი ალექსანდრ ალიევი გამოირჩევა.

**— თქვენი კოზირი რა იქნება?**

— ფსიქოლოგიური სიმშვიდე.

**— მეორე ადგილზე გასვლის შანსებზე რას იტყვით?**

— ჩვენ ყოველთვის კონცენტრირებულნი გავალთ მინდორზე და ბოლოს ვნახოთ, რა გამოვა.



ქართული და უკრაინული ახალგაზრდული ნაკრებები „ეროვნულზე" ვარჯიშისას



**ალექსეი მიხაილიჩენკო** მხიარულ გუნებაზე იყო, სტადიონზე შემოსვლისთანავე ოთარ გაბელიას ჩაეხუტა, მოიკითხა, მერე კი მინდორზე შევიდა და ცოტა ყური ეცვალა, ბალახი წამოზრდილია და პირიისი ხაზებიც არ ჩანსო. მიხაილიჩენკო დაამშვიდეს, ხვალ ყველაფერი წესრიგში იქნებაო, მაგრამ მაინც ეჭვის თვალით იყურებოდა.

კიევის „დინამოს" ყოფილი ვარსკვლავი უნიკალურია იმ მხრივ, რომ სამ ქვეყანაში გამხდარა ჩემპიონი — საბჭოეთში „დინამოს", იტალიაში „სამპდორიას", შოტლანდიაში კი „გლაზგო რეინჯერსის" მაისურით...

— ქართველმა ახალგაზრდებმა ბოლო ორი გასვლითი მატჩი მოიგეს. ნაკრებს მწვრთნელიც შეეცვალა და ძირითადი ბირთვიც, სადაც რამდენიმე 17-18 წლის ჭაბუკი თამაშობს.

**— ყაზახეთთან მატჩის ფირს ნახავდით...**

— რა თქმა უნდა. კარგად ვიცი ქართული ფეხბურთი, ტექნიკა, ბურთთან სიახლოვე, სისწრაფე, გონივრულობა. ზუსტად ასე ითამაშეს ყაზახეთთან.

**— რომელი ფეხბურთელი მოგეწონათ?**

— შვიდი ნომერი, მარჯვენა ნახევარმცველი (შოთა გრიგალაშვილი) კარგი ბიჭია, სხვებიც ნორმალურად თამაშობდნენ.

**— თქვენი გუნდის ლიდერები, ალიევი და მილევსკი კარგ ფორმაში არიან?**

— ამას ხვალ ვნახავთ.

**— დღეს თუ გყავთ გუნდში ისეთები, მალე უკრაინის ნაკრებში რომ მოხვდებიან?**

— დრო გვიჩვენებს. ისე, გუსევი და რუსოლი წელიწადნახევრის წინ ახალგაზრდულში თამაშობდნენ, დღეს კი ბლოხინი მათ სისტემატურად იძახებს. საერთოდ, ბევრი შემთხვევაა, ფეხბურთელი ახალგაზრდულ ნაკრებში გამორჩეულია, მერე კი ველარ იზრდება.

**— სამი ქულა გჭირდებათ და, ალბათ, შეტევაზე ითამაშებთ...**

— ჩვენ ყველგან მოსაგებად ვთამაშობთ, ისე, თამაშის სცენარს გააჩნია, თუ საჭირო გახდა, დაცვასაც მივმართავთ.

**— ფავორიტად უკრაინას მიიჩნევთ?**

— წინასწარ არ მინდა თქმა. ვიმეორებ, საქართველოს ნაკრებმა ბოლო ორი თამაში მოიგო და ალმაცერად არ ვუყურებ.

**ილია ნანობაშვილი**

## გრიშა არ არის?

ნაღდი საფელეტონო ამბავია, აი, ისეთი, ერთდროულად სატირალიც რომ არის და სასაცილოც. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში შესვლის ახალ წესზე მოგახსენებთ, რომლის ერთადერთი დანიშნულებაც, ჩვენი ვარაუდით, ის არის, რომ სტუმარი ამ ორგანიზაციაში ვერ მოხვდეს.

ჯერ ის ვთქვათ, როგორ იყო ადრე. როგორ და, როგორც ყველა ნორმალურ ორგანიზაციაში უნდა იყოს: ეუბნებოდი დაცვის თანამშრომელს ვისთან მიდიოდი, ისიც შენ ნათქვამს მასპინძელთან გადაამოწმებდა, საშვს გამოგიწერდა და შეხვიდოდი.

როგორი წესია ახლა: მიდიხარ დაცვის თანამშრომელთან და ეუბნები, ვინ ხარ და ვისთან მიდიხარ. თანამშრომელი ვისთანაც მიდიხარ, იმას ურეკავს და ეკითხება, ესა და ეს ბატონია მოსული და თუ მიიღებთო. იღებს თანხმობას და... რეკავს ფედერაციის გენერალურ მდივან გრიგოლ ცაავასთან. დაცვის თანამშრომელსა და ბატონ გრიგოლს შორის ასეთი საუბარი იმართება:

— ბატონო გრიგოლ, მოსულია ესა და ეს პიროვნება ამა და ამ ორგანიზაციიდან, ითხოვს შეხვედრას ამა და ამ ჩვენს თანამშრომელთან. ჩვენ უკვე დავეკითხეთ ამ ჩვენს თანამშრომელს ამა და ამ პიროვნების მიღების თაობაზე და მისგან თანხმობა მივიღეთ. ახლა გვჭირდება თქვენი თანხმობა, რათა ამ პიროვნებას ჩვენს იმ თანამშრომელთან შესასვლელად საშვი გამოვუწეროთ. ბატონი გრიგოლი პასუხობს: გამოუწერეთ.

დიდი მადლობა ბატონ გრიგოლს გულისხმიერებისთვის, მაგრამ ერთი კითხვა მოსვენებას არ გვაძლევს: ფეხბურთის ფედერაციაში ყოველდღე ალბათ 50 კაცი მაინც მიდის. ჰოდა, ორმოცდაათჯერ დაცვის თანამშრომლისგან ზემოთ მოყვანილი მოხსენებითი პატაკის მოსმენას და პასუხის გაცემას კი სჭირდება ნახევარი სამუშაო დღე. დავიჯეროთ, ბატონ გრიგოლს სხვა საქმეები არა აქვს?

და რა ხდება მაშინ, თუ გენერალური მდივანი საკუთარი კაბინეტიდან ან სულაც შენობიდან გასულია? დაცვის თანამშრომლებს ამაზე ასეთი პასუხი აქვთ: ასეთ შემთხვევაში შენობაში ვერავინ შევა!

რა თქმა უნდა, დაცვა არაფერ შუაშია — ასრულებენ იმას, რაც დაავალეს. თავადაც წვალობენ, სტუმარსაც აწვალებენ და ბატონ გენერალურ მდივანსაც.

მოკლედ, თუ ფედერაციაში დაგიბარეს ან თავად გაქვთ საქმე, იქ მისვლამდე სჯობს წინასწარ დარეკოთ და გაარკვიოთ: გრიშა არ არის?

**ბონდო ბიბილია**

# პასუხი მეორე მხრიდან

## გრიგოლ ხურციძემ შემტევებს შეუტია

*ქუთაისის „ტორპედო" წელს იმაგრებს და ფეხზე დადგომას ცდილობს. მე-17 ეროვნულ ჩემპიონატამდე ერთი დღით ადრე მკვდრეთით აღმდგარ და ახალ იურიდიულ სუბიექტად ჩამოყალიბებულ კლუბს ქუთაისში ეჭვის თვალით უყურებენ, თუმცა...*

*— დაურეკეთ ნებისმიერ ფეხბურთელს და მწვრთნელს და დარწმუნდებით, რომ გუნდში არავითარი დავალიანება არ არის, ხელფასები დარიგებულია — გვითხრა გუშინ „ტორპედოს" 33 წლის პრეზიდენტმა გრიგოლ ხურციძემ, ვინც გუშინდელ „სარბიელში" დაბეჭდილ „ტორპედოს" გულშემატკივართა წერილს გამოეხმაურა.*

*ასე რომ, მოვისმინოთ მისი ნაუბარი და ერთხელაც დავრწმუნდეთ, რომ თურმე ყველაფერი ისე არ არის, როგორც ამბობენ...*

— რაც გუშინდელ „სარბიელში" დაბეჭდილ გულშემატკივართა წერილში წერია, აბსურდია. არ მესმის, ამდენი სისულელე საიდან მოდის ამ ხალხის თავში. თორმეტი წელიწადია, ფეხბურთში ვარ. ადრე საქართველოს მოჭიდავეთა ნაკრების წევრი ვიყავი, ჩემი და ინგა ხურციძე საბჭოთა კავშირში პირველი ჩოგანი იყო ბადმინტონში, ჩემი შვილებიც სპორტსმენები არიან — ერთი ფეხბურთელია, მეორე მორაგბე. ამის შემდეგ კი ჩემზე ამბობენ, ბუნდოვანი წარსული აქვსო. მე თუ ბუნდოვანი წარსული მაქვს, იმათ როგორი აქვთ, ვინც ეს წერილი დაწერა?!

...წერილი უამრავ ტყუილზეა აგებული. ხელფასებიც დარიგებულია და სამომავლო გეგმებზეც სერიოზულად ვფიქრობთ. გუნდი ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი დღით ადრე გადავარჩინეთ. ჩვენ რომ არ მოგვეკიდა ამ საქმისთვის ხელი, მაშინ რაღას აპირებდნენ?! გუნდი ხომ აღარ არსებობდა! ახლა, როცა საქმე გაკეთდა, რატომღაც ყველამ მისცა უფლება საკუთარ თავს, „ტორპედოს" ირგვლივ იტრიალოს...

...33 წლის კაცი ვარ, მგონი, ყველაზე ახალგაზრდა პრეზიდენტი საქართველოში, მაგრამ ერთი თვეა, გუნდში მოვედი და უკვე ათასი ხელისშემშლელი გამოჩნდა. ერთხელაც ვიტყვი, რომ „ტორპედო" კერძო საკუთრებაა და არ მესმის, რა კავშირი აქვს ჩვენთან ან თუნდაც ფეხბურთთან საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციას, სტუდენტთა ასოციაცია „პროგრესს" და რეფორმების მხარდამჭერ ასოციაციას. თუმცა ვიცი, რაც სურდათ — პირდაპირ გეტყვით, რომ ეკონომისტთა ასოციაციას აქციათა წილის მიღება უნდოდა და რომ ვერ მოახერხა, ასე ბინძური ხერხებით გვებრძვის...

...საერთოდ, მოწილეებთან არანაირი პრობლემა არ გვაქვს. იბრაგიმ ართვინლი საქმიდან კი გავიდა, მაგრამ მისი წარმომადგენელი ვლადიმერ კაკაურიძე გუნდში დარჩა — ჩვენ მეგობრები ვართ და ერთად ვცდილობთ, „ტორპედო" ფეხზე დავაყენოთ. ხომ იცით, როცა გიჭირს, ხელისშემშლელი უფრო მეტი გამოჩნდება, ვიდრე დამხმარე. ახლა შედეგები არ გვაქვს და ათასნაირ სისულელეს გვიგონებენ, მაგრამ ჩვენ აქცენტი ახალგაზრდებზე გავაკეთეთ და მალე ნახავენ შედეგებსაც...

...„ტორპედოს" გულშემატკივრობაზე დებენ თავს და დღემდე ბაზაზე ერთი კაცი არ მოსულა, ერთს არ უთქვამს, აბა, გუნდს გავამხნევებ, ვნახავ, რა გიჭირთ და რა გილხინთო. ამას კიდევ რა უჭირს — გორში „დილასთან" სათამაშოდ რომ მივდიოდით, უფასო ავტობუსი გამოვყავი ქომაგებისთვის, მაგრამ ხუთი კაცი ძლივს მოგროვდა, ამის მერე კი ესა თუ ის ასოციაციები აკეთებენ განცხადებას, რომელშიც უამრავი სიბინძურე და სიცრუეა...

**ბახა შალამბერიძე**

# ორი კვირაც მოიცადეთ

## ზესტაფონში მინდორს დასცხა

**ზესტაფონის** ცენტრალური სტადიონის ახალი საფარი, სულ ცოტა, ოქტომბრამდე დაისვენებს. როგორც შევიტყვეთ, ბალახს ალაგ-ალაგ ობის სუნი დაჰკრავდა, რის გამოც ახალი ბალახი ჩათესეს. რატომ? გაირკვა, რომ საფარის ჩამოტანისას ერთ-ერთ მანქანაში რეფრეჟერატორი გამორთული ყოფილა და გაზონი სათანადოდ არ გაიყინა. ეს დაობებული ადგილი კი მოედნის ცენტრშია.

„შესაშფოთებელი არაფერია. როდესაც 30-40 წლის საქმე კეთდება, ორი კვირა არაფერს წყვეტს და მოთმინებაა საჭირო" — გვითხრა „ზესტაფონის" პრესატაშემ სერგო ფუტკარაძემ. მანვე გვაცნობა, რომ თურქ მუშებს ორი კვირით მოცდა უთხოვიათ, რადგან გვალვის გამო მინდორი ზოგან ამომწვარია და ახალჩათესილი ბალახი კარგად უნდა მომაგრდეს.

აქვე შეგახსენებთ, რომ ცენტრალურ სტადიონზევე, მინდვრის კიდიდან ერთ მეტრში ხელოვნური საფარი იგება.

**ილია ნანობაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

გაჟარი კეთილაძის ფოტო

ბევრისთვის მოულოდნელად და ცოტასთვის მოსალოდნელად, ბოლნისის „სიონი" ცხრილის კენწეროში წამოსკუპდა. ქვემოქართლელებმა მიჯრით სამი თამაში ისე მოიგეს, გოლი არ გაუშვიათ და თვალშისაცემი კიდევ ისაა, რომ ახალგაზრდა, ტექნიკური, ბურთის გემრიელად გამგორებელი ბიჭები ჰყავთ, თან მზარდი. „სიონის" თავკაცი ხვიჩა ქასრაშვილი „სარბიელმა" აგვისტოს საუკეთესო მწვრთნელად დაასახელა...

# აგვისტოს პასიონსი

## ხვიჩა ქასრაშვილი: სისწრაფე და შეტევა ჩვენი კოზირია

— ჯერ რა დროს ლიდერობაზე ლაპარაკია, ოთხი ტური ჩატარდა — ამბობს ქასრაშვილი, რომელსაც გუშინ გავესაუბრეთ...

**— „სიონი" ახლადდაკომპლექტებული გუნდია და ელოდით ასეთ კარგ დასაწყისს?**

— უცებ არაფერი ხდება. ახალი გუნდი ეტაპობრივად ჩამოვაყალიბეთ, ზოგიერთი მოთამაშე ზედ ჩემპიონატის დაწყების წინ ავიყვანეთ. ბუნებრივია, ლიდერობა კარგია, მაგრამ ჯერ მხოლოდ ოთხი ტური ჩატარდა. ისე კი, გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ.

**— ამ ოთხი მატჩიდან რომელი იყო „სიონისთვის" საუკეთესო?**

— ვერ გამოვყოფ. „ლოკომოტივი" საქართველოში ერთ-ერთი გამორჩეულია და მასთან სტუმრად ფრე უკვე კარგი შედეგია. „კოლხეთი", „დილა" და „ბათუმიც" ნორმალური გუნდებია. ისე, ბათუმში ძალიან გაგვიჭირდა მოგება, ვერ ავაწყვეთ თამაში.

**— როგორ აფასებთ, რამდენ ხანს შეინარჩუნებს „სიონი" ლიდერობას და საერთოდ, კლუბის ხელმძღვანელობამ რა მიზანი დაგისახათ ამ სეზონში?**

— ჩვენ ყველა მატჩში მობილიზებულები გავდივართ, მწვრთნელი მაქსიმალისტი უნდა იყოს, მოსაგებად უნდა დარაზმოს გუნდი. კლუბის ხელმძღვანელობასაც ერთი კონკრეტული მიზანი არ დაუსახავს, ჩვენ ჩვენსას ვეცდებით, მეტოქეებსაც საფუძვლიანად შევისწავლით და ვნახოთ, რა გამოვა.

**— „ლოკომოტივთან" სტუმრად უპირატესობა გქონდათ. საერთოდ, მეტოქის და მინდვრის განურჩევლად, ყველა მატჩში შეტევაზე თამაშს აპირებთ?**

— ასეა, თანამედროვე ფეხბურთში ტემპი ერთ-ერთ წინა პლანზეა, ბიჭებსაც, რაც შეიძლება, სწრაფ თამაშს ვავალებ და მიხარია, რომ ამას კარგად ასრულებენ, მაგრამ სამუშაო ჯერაც ბევრია. განვლილ ოთხ თამაშში ყრუ დაცვაში ჩაჯდომა არ დაგვჭირვებია.

**— „სიონის" ძლიერ და სუსტ რგოლებზე რას იტყვით?**

— ვფიქრობ, ყველა ხაზი თანაბრადაა დაკომპლექტებული. გრძელი სკამის პრობლემა არ გვაწუხებს, კონკურენცია საკმაოა და თუ რომელიმე რგოლს გაძლიერება დასჭირდება, რეზერვი მზადაა.

**— ჯაბა დვალმა დღემდე ყველაზე მეტი გოლი გაიტანა. იგი საუკეთესო ფორმაშია?**

— ჯაბას გაცილებით დიდი პოტენციალი აქვს, ვიდრე ახლა ჩანს. არა მარტო დვალი, კიდევ ბევრ ფეხბურთელს აკლია ფორმის პიკამდე. თავად განსაჯეთ, „სიონში" მხოლოდ ხუთი-ექვსი კაცია, რომლებმაც შეკრება სრულყოფილად გაიარეს.

**— ბოლო თამაშში კოკა მიკუჩაძემ მცირე ტრავმა მიიღო. ახლა როგორაა?**

— საბედნიეროდ, სერიოზული არაფერია. კოკა გუნდთან ერთად ვარჯიშობს.

**— გუშინ სატრანსფერო ფანჯარა დაიხურა და ახალი ფეხბურთელი ხომ არ შეგიძენიათ?**

— უკრაინის ერთ-ერთი გუნდიდან 22 წლის ცხოიძე დავიმატეთ. იგი ერთ დროს გელა გომელაურის 19-წლამდელთა ნაკრებში თამაშობდა.

**— როგორც ვიცით, თქვენ „სიონში" ექვსთვიანი კონტრაქტი გაქვთ, მაგრამ თუ ასეთი ტემპით გააგრძელეთ, ალბათ, სულ ცოტა, გაისამდე დარჩებით...**

— არ ვიცი. ეს კლუბის ხელმძღვანელობის — ქალაქის გამგეობისა და შპს „მადნეულის" გადასაწყვეტია. ჩემ გარდა რამდენიმე ფეხბურთელსაც აქვს ზამთრამდე კონტრაქტი. ისე, ხელმძღვანელობის მადლიერები ვართ, მშვენიერ პირობებს გვიქმნიან და ამას წინათ ახალი ავტობუსიც გვიყიდეს.

**ილია ნანობაშვილი**

# ვიქტორიას წიგნის კითხვა უყვარს, თუმცა სანახევროდ...



ვიქტორია ადამსს ზღაპრები უყვარს

„ცხოვრებაში წიგნი როგორ არ წამიკითხავს, ოღონდ ბავშვების გადამკიდე სანახევროდ ვკითხულობ ხოლმე. ვფიქრობ, ნებისმიერი დიასახლისი გამიგებს, ოჯახურ ორომტრიალში წიგნებისთვის დრო აღარ რჩება" — უთხრა ვიქტორია ბექემმა „დეილი ტელეგრაფის" ჟურნალისტს. საქმე იმაშია, რომ რამდენიმე ხნის უკან მადრიდის „რეალის" ვარსკვლავის მეუღლემ მავან ესპანურ გაზეთს ინტერვიუ მისცა, სადაც აღნიშნა... არასდროს წიგნი არ წამიკითხავსო. (დევიდ ბექემის ავტობიოგრაფიული „შედევრის" ჩათვლით). ცხადია, „პოშის" გულახდილმა ვულგარულობამ ყვითელ პრესას დიდძალი სალაპარაკო თემა მისცა და შეცბუნებულმა ვიქტორიამაც გუშინ ინგლისურ მედიასთან მასლაათში ადრე ნათქვამი უარყო.

„ჟურნალისტებმა მაშინ უვიცობა დამაბრალეს. ცუდია, რომ ჩემი ნათქვამი კორესპონდენტმა არასწორად გაიგო — ჯერ ის ნახონ, შვილებს, რომეოს და ბრუკლინს ძილის წინ ესპანურ ზღაპრებს როგორ ვუკითხავ" — განაცხადა ექსსპაის გოგომ.

გარდა წიგნებისა პოშმა ესპანელსა და მადრიდელ მეგობრებზეც ილაპარაკა.

„ვცდილობ, ესპანური ენა რაც შეიძლება მალე ვისწავლო. ამბობენ, რომ ესპანეთი არ მომწონს, თავიდან მართლა ასე იყო, ახლა კი მადრიდის გარეშე ცხოვრება ვერ წარმომიდგენია, როცა ამ ენას შევისწავლი, აქაურ მეგობრებთან სულ ინგლისურად აღარ ვილაპარაკებ" — აღნიშნა ვიქტორია ბექემმა.

**ლადო ხომერიკი**

# დამირეკე ტელეფონო



დავიდ ჟემალი

„ინტერმა" „ბორდოს" მარჯვენა მცველი დავიდ ჯემალი ვერ იყიდა. მიზეზი: როდესაც მილანური კლუბის ბოსები ჯემალთან რეკავდნენ მოთამაშე ვარჯიშზე იყო და ტელეფონის წკრიალ-ზრიალსიმღერა არ ესმოდა.

ჯემალი 30 წლისაა და შავ-ლურჯებს დაშავებული ხავიერ ძანეტის დროებით შემცვლელად წარმოუდგენიათ. მოკლედ, ცუდი ამ სატრანსფერო ჩანაფიქრში რა უნდა ყოფილიყო, მაგრამ როგორც მოგახსენეთ წარმოშობით მაროკოელს ზარის ხმა არ ესმოდა, იტალიაში კი სატრანსფერო სეზონი იმ დღეს ანუ ოთხშაბათს საღამოს შვიდ საათზე დასრულდა.

აქ აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ოთხშაბათსვე დამთავრდა სატრანსფერო სეზონი საფრანგეთშიც, მაგრამ იტალიისგან განსხვავებით არა შვიდზე, არამედ ღამის 12 საათზე, რამაც შესაძლოა ასევე შეაცდინა ჯემალი.

„წარმოუდგენელია, — აღმოხდა გაწბილებულ მოთამაშეს, — სადღაც სამხრეთ საფრანგეთის რომელიღაც სოფლიდან ხომ არ მირეკავდნენ, „ინტერი" იყო! საღამოს შვიდზე ჩემი აგენტი დამიკავშირდა და მითხრა სანამ ვარჯიშობდი „ინტერს" შენთან კონტრაქტის გაფორმება უნდოდაო. საუბედუროდ მე მოედანზე ვიყავი."

„ბორდოს" პრეზიდენტმა ჟან-ლუი ტრიომაც თქვა, რომ რაღაც ამდაგვარი მაშინვე გაიგო, მაგრამ...

„მე „ინტერიდან" არავინ შემხმიანებია, თუმცა სადღაც ექვსისთვის ვიღაცამ მართლა თქვა, ოღონდ ისე, საყველპუროდ, რომ დავიდით მილანელები იყვნენ დაინტერესებულნი. ასეა თუ ისე, მიხარია ჩვენთან რომ დარჩა."

მაინც და მაინც, მწუხარებისგან არც თავად ჯემალი იკლავს თავს:

„გული არაფერზე მწყდება. „ბორდოში" 1997 წლიდან ვარ, აქაურობა მიყვარს და თავს მშვენივრად ვგრძნობ."

ხავიერ ძანეტი კი, როგორც ამბობენ 40 დღის განმავლობაში არ ითამაშებს.

აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებული ჯემალის გარდა „ინტერს" „პარმასგანაც" უნდოდა ძანეტის შემცვლელის, დანიელე ბონერას ყიდვა, მაგრამ პარმელებმა დაახლოებით მილიონ დოლარზე უარი უთხრეს.

ახლა, შავ-ლურჯების მწვრთნელს, რობერტო მანჩინის მარჯვენა მცველად ზე მარიას გადაყვანა მოუწევს.

**პაატა ქედია**

# კანავარომ ბრაზილია თქვა

ფაბიო კანავაროს აზრით, მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის უმთავრესი ფავორიტი ბრაზილიაა, იტალიის კი მუნდიალის მოგების ისეთივე შანსი აქვს, როგორიც დანარჩენ ბობოლა ნაკრებებს.

„ბრაზილია ძლიერია, განსაკუთრებით ნახევარდაცვაში — თქვა კანავარომ — იტალიას ნაღდად შეუძლია პირველობისთვის ბრძოლა, მით უმეტეს ბევრი ჩვენგანისთვის ეს ბოლო შანსია".

კანავაროს, რომელიც სექტემბერში 32 წლის ხდება, უკვირს, რატომაა იტალია მეცამეტე ფიფას რეიტინგში. ეს უსამართლობაა — აცხადებს ფეხბურთელი — ამერიკისა და მექსიკის დონის გუნდები ჩვენზე წინ არიან. მიუხედავად ამისა, ასეთ ვითარებაში მოტივაცია მოგვემატა".



მარჩელო ლიპის ნაკრებს მომავალი მუნდიალის საგზური ჯერ არ მოუპოვებია. „სკუადრა აძურას" ორი გადამწყვეტი მატჩი ელის ჯერ შოტლანდიასთან, მერე კი ბელარუსთან. იტალიელთა მწვრთნელმა ირლანდიასთან 2:1 მოგების შემდეგ 4-3-1-2 სქემა შეარჩია და შოტლანდიასთანაც ალბათ ასე ითამაშებს. არ არის გამორიცხული ამ სქემაში შემსრულებლები შეიცვალონ. მაგალითად, ალესანდრო დელ პიეროს ნაცვლად ფრანჩესკო ტოტიმ ითამაშოს, რომელიც საირლანდიოდ ავად იყო და ნაკრებს დააკლდა. ასევე შესაძლებელია, კარში ანჯელო პერუცი ჩადგეს. დაცვაში ძაკარდო, ნესტა, კანავარო და ძამბროტა ითამაშებენ, ხოლო შუახაზში — დანიელე დე როსი, ჯენარო გატუზო, მაურო კამორანეზი და ანდრეა პირლო.

**გაგა ხუციშვილი**



# გატუზოს ტუზობა ელის

ჯენარო გატუზოს განცხადებამ იტალიის საფეხბურთო საზოგადოებაში ბევრს პირი დააღებინა. „მილანის" ენერგიით დამუხტულმა ნახევარმცველმა თქვა, რომ მომავალ ზაფხულს გუნდს დასტოვებს.

„ბოლო ათი დღის განმავლობაში წასვლაზე ვფიქრობდი, რადგან აქ „მილანში" ზეწოლას ველარ ვუძლებ და მაინც, საბოლოოდ დავრჩი. ბოლოს და ბოლოს „მილანი" ის გუნდია, რომელიც თავის მოთამაშეებზე ისე ზრუნავს, როგორც არავინ. სანამ აქედან წახვალ ათასჯერ უნდა აწონო და გაზომო" — განაცხადა გატუზომ.

შეგახსენებთ, რომ „სალერნიტანადან" გადასვლის შემდეგ გატუზო აგერ უკვე ექვსი წელიწადია შავ-წითელ მაისურას დიდი წარმატებით ატარებს. ამ ხნის განმავლობაში ნახევარმცველმა, რომელსაც, სხვათაშორის თავის დროზე „გლაზგო რეინჯერსშიც" აქვს ნათამაშევი, მოიპოვა სკუდეტო, ჩემპიონთა თასი, კოპა იტალია, ევროპისა და იტალიის სუპერთასები. აქვე დავძინოთ, რომ მოთამაშეს, რომელსაც თურმე არც მეტი, არც ნაკლები „მანჩესტერ იუნაიტედი" სთავაზობდა კონტრაქტს, „მილანში", პაოლო მალდინის წასვლის შემდეგ კაპიტნის სამკლავურს უმზადებენ.

ხოლო 37 წლის მალდინი უკვე სერიოზულად ფიქრობს ბურთის გადაგდებაზე. ამ წუთას მას „მილანთან" ორწლიანი კონტრაქტი აქვს გაფორმებული და სავარაუდოდ მისი ამოწურვის შემდეგ დიდი მცველის კარიერას წერტილი დაესმება.

„გონებაში უამრავი აზრი მიტრიალებს რომელთაგან ბევრი ოპტიმისტურია და ბევრიც არა. ერთადერთი, რაც ჯერ კიდევ მინარჩუნებს თამაშის სურვილს, ჩემი სხეულია. ის კვლავ კარგად გრძნობს თავს. საერთოდ, მინდა ფეხბურთს ჯერ კიდევ აქტიური შევეშვა. ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ სათადარიგოთა სკამს ვერ შევეგუები და თავს შეურაცხყოფილად ვიგრძნობ, არამედ იმიტომ, რომ მთელი ცხოვრება აქტიური მოთამაშე ვარ და სხვა მდგომარეობის წარმოდგენაც არ მინდა."

**პაატა ქედია**

# ფაბიო და აბელი

პრემიერლიგურმა „მიდლსბრომ" მოასწრო და სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე ორი ძლიერი ფეხბურთელი დაიმატა — ფაბიო როჩემბაკი და აბელ შავიერი.

ბრაზილიელი როჩემბაკი „ბარსელონას" ფეხბურთელი იყო, რომელიც ესპანელებმა ლისაბონის „სპორტინგში" გაანათხოვრეს. ნაკრებში შვიდგზის ნათამაშევმა როჩემბაკმა „მიდლსბროსთან" ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

„ამ კლუბის შემოთავაზებულმა პირობებმა მომხიბლა — თქვა ბრაზილიელმა — ფეხბურთელმა უნდა ითამაშოს და აქ საკვირველი არაფერია. რაკი „მიდლსბრო", სპორტინგი" და „ბარსელონა" შეთანხმდნენ, მეც დავყაბულდი პრემიერლიგაში გადასვლას. ძალიან მსურდა ლისაბონში დარჩენა, მაგრამ კლუბმა თვითონ ისურვა ჩემი გაყიდვა და წასვლა ამიტომ ვარჩიე".

რაც შეეხება პორტუგალიის ნაკრების ყოფილ მცველ აბელ შავიერს, მისი შეღებილი თავ-პირიც „მიდლსბროში" გამოჩნდება. შავიერი თავისუფალი აგენტი იყო. ბოროელებს პორტუგალიელის სანაცვლოდ ერთი ცენტიც არ გადაუხდიათ და მცველს ერთწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს.

**გაგა ხუციშვილი**

# მე ვზივარ ნავში

„რომას" სიმბოლომ, ფრანჩესკო ტოტიმ კატეგორიულად უარყო ცნობა მისი „იუვენტუსში" გადასვლის შესახებ.

„ვფიქრობ, რომ „იუვენტუსში" არასოდეს ვითამაშებ — თქვა ტოტიმ — მე მიყვარს მზე და ზღვის ნაპირი. ვარ რომაელი და ვერ წარმომიდგენია ოდესმე სხვა გუნდში გადასვლა".

„რომადან" „იუვენტუსში" წასულმა ფაბიო კაპელომ შარშან ჯონათან ძებინა და ემერსონი გაიყოლა. ამბობდნენ, თითქოს ამ ზაფხულს ანტონიო კასანო და ამანტინო მანსინიც „ბებერი ქალბატონის" ფეხბურთელები გახდებოდნენ, მაგრამ არაფერი გამოვიდა. მანსინი აგენტთან ერთად ტურინშიც კი ჩავიდა ტრანსფერის გასაჩარხად, თუმც რომში ხელცარიელი დაბრუნდა. ანტონიო კასანოს კი, მთელი ზაფხულის განმავლობაში „იუვენტუსს" უკავშირებდნენ, საბოლოოდ კი ამბავი „ბიანკონერის" გენერალურმა დირექტორმა ლუჩანო მოჯიმ დაასრულა: „კასანოს არ ვყიდულობთ, ეს ჟურნალისტების გამოგონილი ტრანსფერია. ის ძალიან კარგი ფეხბურთელია, მაგრამ ჩვენ საუცხოო შემტევები გვყავს. რაც შეეხება მანსინის, „რომამ" მისი დატოვება ისურვა და ამიტომ აღარ შევიძინეთ"

კიდევ ერთმა რომაელმა, დამიანო ტომაზიმ კლუბთან კონტრაქტი ერთი წლით გაახანგრძლივა. ვეტერანი ნახევარმცველი თვეში მხოლოდ 1000 გირვანქას მიიღებს.

**გაგა ხუციშვილი**

# რონალდინიომდე რობინიომ მესის აჯობოს...

ჰოლანდიელი სპეციალისტი ფრანკ რაიკარდი „ბარსელონას" სათავეში თავის მესამე სეზონს იმედიანად ხვდება — 2004-05-ის პრიმერაში კატალონიურმა გრანდმა ჩრდილოელის თავკაცობით ესპანეთის ჩემპიონობა მოიგო, ხოლო ამ ზაფხულს „ბარსამ" „ბეტისთან" ბრძოლაში ქვეყნის სუპერთასიც მოიპოვა. ორ წელიწადში რაიკარდმა საჩემპიონო გუნდი ააწყო, თუმც, როგორც თავად ამბობს: „ოქროსმედალოსნობა მარტო უშელავათო შრომაზეა დამოკიდებული, როგორც კი საქმეს დაუდევრად შევხედავთ, მშვიდობით ჩემპიონობავ". ახლა „ნოუ კამპის" ბინადართა თავკაცი ჩემპიონთა ლიგის მონადირებაზე ფიქრობს და სჯერა, რომ „ბარსა" პრიმერადივიზიონსა და ლიგაში ერთდროულად გამარჯვებას მოახერხებს. ფრანკ რაიკარდს კატალონიური „სპორტის" ჟურნალისტი გაესაუბრა.



**— „ბარსას" ინჩადა საამსეზონო ჩემპიონთა ლიგაში თავისი საყვარელი გუნდის გამარჯვებას მოელის. ალბათ თქვენ და თქვენი შეგირდები გულშემატკივართა იმედების გამართლებას ეცდებით...**

— რადგან ფანებს „ბარსელონას" გამარჯვება ასე უნდათ, ჩვენ უფლება არ გვაქვს, ცუდად ვითამაშოთ. ვიცით, რომ ამ ტურნირზე გამარჯვება ძნელი იქნება, თუმც, მგონი, დადგა დრო, დიდი ჯილდოთი გავიხაროთ.

**— გასულ წელს ხსენებულ გათამაშებაში ურიგოდ არ ბურთაობდით, მაგრამ „ბარსელონამ" „ჩელსის" ბარიერის გადალახვა ვერ შეძლო. რა დასკვნა გამოიტანეთ ამ წაგებიდან?**

— მეტი ყურადღებით და ნაკლები შეცდომებით უფრო შორს წასვლა შეგვეძლო.

**— ლონდონელებთან მარცხი უსამართლოდ მიგაჩნიათ?**

— არა, უბრალოდ, მათ ჩვენზე ნაკლები შეცდომები დაუშვეს, მიუხედავად იმისა, რომ სანახაობრივი თვალსაზრისით „ბარსამ" უკეთესი ფეხბურთი ითამაშა. რა გაეწყობა, ხშირად მატჩის შედეგს ლამაზ ბურთაობასთან საერთოდ არაფერი აქვს.

**— ზოგი ფიქრობს, რომ ჩემპიონთა ლიგაზე ყურადღების გადატანის გამო ესპანური პრიმერადივიზიონს აღარ „მიხედავთ"...**

— პირიქით, ესპანეთის ჩემპიონატი ჩვენთვის მთავარი სარბიელია. აქ ყოველ შაბათ-კვირას უნდა ვიბრძოლოთ, თუ პრიმერადივიზიონის მატჩებში გავიმარჯვებთ, მერე ლიგაზე მოგებაც არ გაგვიჭირდება.

**— ისე, პრიმერა, „ბარსამ" ფრეთი დაიწყო...**

— ეგ არაფერი, დანარჩენ შეხვედრებში ყველაფერი გამოსწორდება.

**— გულახდილად თქვით, „ალავესთან" „ბარსელონა" ოდენ გამარჯვებას ელოდა...**

— რა თქმა უნდა, ფრე ბასკებთან უფრო შემთხვევით იყო, ვიდრე დამსახურებული. ბურთი არა და არ შევიდა „ალავესის" კარში.

**— თქვენი გუნდი დაცვაში ჩამდგარ მეტოქეს 11 მობურთალს კიდევ ბევრჯერ გადაეყრება — უბრალოდ „ბარსას" მოიერიშე პოტენციალის შემხედვარე, მოწინააღმდეგე მწვრთნელთა უმრავლესობა ყრუ დაცვის ტაქტიკას აირჩევს. ამის შესახებ რას გვეტყოდით?**

— ამაშიც გეთანხმებით, რაღაც ნაკლებად მახსოვს, ვინმეს „ბარსელონასთან" ღია ფეხბურთი ეთამაშოს, მეტოქეთა 80 პროცენტი საჯარიმოში იყო ჩაკეტილი და ალბათ მომავალშიც ასე იქნება. ეს კარგია, მოწინააღმდეგე რომ ნერვიულობს, ესე იგი, ჩემი გუნდი თავის საქმეს ჩინებულად აკეთებს.

**— თქვენს დამრიგებლად მოსვლამდე „ბარსელონას" 4 წელიწადი არაფერი მოეგო, ახლა კი „კამპ ნოუს" გუნდი პრიმერადივიზიონის ჩემპიონი და ესპანეთის სუპერთასის მფლობელია. რა შეცვალა ფრანკ რაიკარდმა კატალონიური გრანდის რიგებში?**

— ჩემპიონი მარტო მაშინ ხდები, როცა უშელავათოდ შრომობ. წარმატებისთვის მარტო ტალანტის ქონა არ კმარა, ჯილდოს მხოლოდ ნიჭის და თავდაუზოგავი მუშაობისთ იგებენ. ვერ გეტყვით, რა შევცვალე, მაგრამ ცხადია, რომ როცა თითოეული მოთამაშე მინდორზე თავის მოვალეობას ბეჯითად ასრულებს, გუნდი მოგებული რჩება.

**— თქვენი ახალგაზრდა ვარსკვლავის, არგენტინელი ლეო მესის ოსტატობის შესახებ ატეხილი ეიფორია ხომ არ გაშფოთებთ?**

— არა, მე უკვე წინასწარ ვვარაუდობდი, რომ ლეო მსოფლიოში სენსაციას მოახდენდა. ხალხი ახლა მესის ნიჭიერებამ გააგიჟა, თუმც არგენტინელი, მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდაა, ჭკვიანი ბიჭია და იცის, როგორი დამღუპველია „ვარსკვლავური სენი". მისთვის ახლა მიწაზე მყარად დგომაა საჭირო.

**— ანუ მესის „ბარსელონას" საიმედო მომავლად აღიარებთ?**

— არა, იგი უკვე არის დღევანდელი „ნოუ კამპის" იმედი. არ დაგავიწყდეთ, ჩვენ 20-წლამდელთა მუნდიალის საუკეთესო მობურთალზე ვსაუბრობთ. რასაკვირველია, გადამეტებული ქება მისი ასაკის ბიჭებს ხშირად სწყენთ ხოლმე, თუმც მესის შემთხვევაში გულდაჯერებული ვარ — 18 წლის ლეო უკვე ჩამოყალიბებული პიროვნებაა.

**— დასასრულ მადრიდის „რეალზე", „ბარსას", მარადიულ მეტოქეზე შეგეკითხებით. იქაურთა თქმით, „სანტიაგო ბერნაბეუს" ახალწვეული რობინიო მალე მსოფლიოს საუკეთესო მობურთალი გახდება და კატალონიელთა ლიდერ რონალდინიოსაც დაჩრდილავს...**

— რა გითხრათ, შედარებები არ მიყვარს, მაგრამ სანამ რობინიოს რონალდინიოს გავუტოლებთ, ჯერ ლეო მესი გავიხსენოთ. რონი საერთოდ კონკურსგარეშეა და თუ მადრიდი რობინიოთი დაგვემუქრება, ჩვენც ვუპასუხებთ, რომ მესის სახით უკეთესი ფეხბურთელი გვყავს...

# ქარდელი ანკარაში გაიქცა

**ოდესლაც** დიდმეგოლე, ბრაზილიელი მარიო ჟარდელი ისე წახდა, რომ თურქეთის „ანკარასფორს" მიაკითხა. ჟარდელის გვარი კარგა ხანია, არავის გაუგია. თავის დროზე მან „პორტუში" სახელი გაითქვა და მერე „გალათასარაიშიც" გრიალებდა, მაგრამ ოჯახური პრობლემების გამო კარიერა აერია.

მარიო ჟარდელმა აგვისტოს ბოლო სამი დღე ფრანგულ „ნანსიში" გაატარა. თუმც მწვრთნელ პაბლო კორეასთან ურთიერთობა ვერ ააწყო, დაჰკრა ფეხი და თურქეთში წავიდა. ბრაზილიელი მეგოლე შესაძლოა, „ანკარასფორის" ფეხბურთელი გახდეს. თავშივე ვთქვით, რომ მას „გალათასარაიში" უთამაშია და თურქეთთან შეგუება არ გაუჭირდება.



**ვაჟა ხუციშვილი**


ეროვნული ბიბლიოთეკა

ლილიან ტურამი გახარებულია, რომ აიძულეს

# ბედნიერება და დორასო

**მსოფლიოსა** და ევროპის ჩემპიონი, ტურინის „იუვენტუსის" ფრანგი მცველი ლილიან ტურამი მიხვდა, რომ ბედნიერია, არადა სულ ცოტა ხნის წინ ცოფებს ჰყრიდა.

უფრო დალაგებით: მას მერე, რაც ფრანგული და მსოფლიო ფეხბურთის დიდმა ვარსკვლავმა ზინედინ ზიდანმა განაცხადა, რომ ნაკრებს უბრუნდება, ატყდა ერთი ამბავი. ტურამი შლიდა გაზეთებს და იქიდან იგებდა, რომ იგიც უნდა დაბრუნებოდა ეროვნულ გუნდს. მეტიც, ზოგან ეწერა, რომ ის უკვე დაბრუნდა ხოლო ყველაფრის გვირგვინი მწვრთნელის, რაიმონ დომენეკის ოფიციალური გამოძახება გახლდათ. მოკლედ, ტურამის გარშემო შეიქნა რთული ფსიქოლოგიური ფონი და იგიც იძულებით გამოეხმაურა გამოძახებას.

„გავხელდი, რადგან მივიჩნიე, რომ ნაკრებიდან წასვლის შესახებ ჩემს გადაწყვეტილებას პატივს არავინ სცემდა. მივიჩნიე, რომ დაბრუნებას მაიძულებდნენ, და როდესაც კოტ დივუარის ნაკრებთან სათამაშოდ ჩასული დავშავდი, ვიფიქრე, რომ ეს ტრავმა ჩემი უგულობით იყო გამოწვეული, მაგრამ ახლა მივხვდი, რომ ნაკრებში დაბრუნებით აბსოლუტურად ბედნიერი ვარ. „მიშელ პლატინიზე" ვარჯიშმა ბეჭებში გამშალა. ჩემს ძველ ოთახში გავათენე ღამე, ოდინდელი მოგონებები ამეშალა. ამ ყველაფერს კი განსაკუთრებული იერი იმიტომ მიეცა, რომ როგორც გითხარით განწყობილი პირიქით, საწინააღმდეგოდ ვიყავი. ჰიმნი, ქომაგები... ყველაფერი მშვენიერია."

ლილიან ტურამი საფრანგეთის დღევანდელ გუნდში ყველაზე მეტთამაშიანი ფეხბურთელია, ლურჯი მაისურა 1994 წლის შემდეგ 104-ჯერ მოურგია. საერთოდ ყველაზე მეტკეპიანი ფრანგი კი მარსელ დესაი გახლავთ. იგი 116-ჯერ გახლდათ გამოძახებული და ნათამაშევი.

ამასობაში დომენეკმა განაცხადა, რომ „იუვენტუსის" მეორე ვარსკვლავი პატრიკ ვიეირა ფარერის კუნძულებთან შესაძლოა სათადარიგოთა სკამზეც დასვას. საქმე ის არის, რომ მწვრთნელი იმავე შემადგენლობით აპირებს თამაშს, რომლითაც ამხანაგურ შეხვედრაში კოტ დივუარს დაუდგა.

„ამწუთას ერთადერთი, რისი თქმაც შემიძლია ესაა: შემადგენლობას პარასკევს გამოვაცხადებ." — თქვა დომენეკმა, რომელსაც კოტ დივუართან მოედანზე ვიკაშ დორასო ჰყავდა, რომელმაც ჩინებულად აუღო კლოდ მაკელელესთან პარტნიორობას ალღო.

**პაპუნა ძედია**

## ფინეთი

**ვეიკაუსლიგა. XXII ტური**

ტპ-47 — ჰაკა 2:2; ალიანსი — მარიეჰამნი 3:1; მიუპა — როვანიემი 5:1; კუოპიო — ლაჰტი 1:4; ინტერი — ტამპერე გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მიუპა | 20 | 13 | 5 | 2 | 37:13 | 44 |
| ჰიკ | 20 | 11 | 7 | 2 | 36:20 | 40 |
| ჰაკა | 21 | 8 | 11 | 2 | 34:16 | 35 |
| ინტერი | 18 | 9 | 6 | 3 | 26:9 | 33 |
| ტამპერე | 18 | 9 | 6 | 3 | 27:16 | 33 |
| ლაჰტი | 22 | 9 | 4 | 9 | 34:34 | 31 |
| ალიანსი | 20 | 6 | 10 | 4 | 24:29 | 28 |
| კტპ | 21 | 7 | 6 | 8 | 31:36 | 27 |
| ტურკუ | 20 | 6 | 4 | 10 | 21:29 | 22 |
| კუოპიო | 21 | 6 | 4 | 11 | 23:37 | 22 |
| იარო | 21 | 5 | 6 | 10 | 17:24 | 21 |
| მარიეჰამნი | 20 | 5 | 5 | 10 | 21:29 | 20 |
| როვანიემი | 21 | 3 | 7 | 11 | 18:41 | 16 |
| ტპ 47 | 21 | 3 | 3 | 15 | 16:32 | 12 |

## გერმანია

**სამხრეთ რეგიონალლიგა. V ტური**

ჰოფენჰაიმი 1:1 ალენი

## ჩეხეთი

**გამბრინუსლიგა**

**გადადებული მატჩი**

სლოვაცკო 1:1 ბოლესლავი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიბერეცი | 4 | 4 | 0 | 0 | 9:2 | 12 |
| სიგმა | 4 | 3 | 0 | 1 | 7:5 | 9 |
| ბოლესლავი | 4 | 2 | 1 | 1 | 10:7 | 7 |
| პრჟიბრამი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:5 | 7 |
| ტეპლიცე | 4 | 2 | 1 | 1 | 5:4 | 7 |
| სპარტა | 4 | 2 | 1 | 1 | 5:5 | 7 |
| მოსტი | 4 | 2 | 0 | 2 | 8:5 | 6 |
| იაბლონეცი | 4 | 2 | 0 | 2 | 8:7 | 6 |
| პლზენი | 4 | 2 | 0 | 2 | 6:5 | 6 |
| ბლშანი | 4 | 2 | 0 | 2 | 3:7 | 6 |
| სლავია | 4 | 1 | 1 | 2 | 7:8 | 4 |
| იჰლავა | 4 | 1 | 1 | 2 | 5:7 | 4 |
| სლოვაცკო | 4 | 1 | 1 | 2 | 5:7 | 4 |
| ზლინი | 4 | 1 | 0 | 3 | 5:8 | 3 |
| ბანიკი | 4 | 1 | 0 | 3 | 5:9 | 3 |
| ბრნო | 4 | 0 | 1 | 3 | 3:6 | 1 |

რეკლამა
სარბიელ–ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

# სერხიო რამოსი: რეალურად ყველაზე ძვირფასი მცველი




| 13268 | ისლანდია-ხორვატია | 1.70 | 1.90 |
| 13269 | სერბია-ლიტვა | 1.90 | 1.70 |
| 13270 | პოლონეთი-ავსტრია | 1.70 | 1.90 |
| 13271 | სლოვენია-ნორვეგია | 1.70 | 1.90 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 12253 | უელსი-ინგლისი | 1.90 | 1.70 |
| 12254 | ანდორა-ფინეთი | 2.30 | 1.50 |
| 12255 | ჩრდ.ირლანდია-აზერბაიჯანი | 1.70 | 1.90 |
| 12257 | ესტონეთი-ლატვია | 1.70 | 1.90 |
| 12258 | შვედეთი-ბულგარეთი | 1.90 | 1.70 |
| 12259 | შვეიცარია-ისრაელი | 1.70 | 1.90 |
| 12260 | მოლდოვა-ბელარუსი | 1.70 | 1.90 |
| 12262 | შოტლანდია-იტალია | 1.70 | 1.90 |
| 12264 | რუმინეთი-ჩეხეთი | 1.70 | 1.90 |
| 12265 | თურქეთი-დანია | 1.70 | 1.90 |
| 12267 | ბოსნია-ბელგია | 1.70 | 1.90 |
| 12268 | ისლანდია-ხორვატია | 1.90 | 1.70 |
| 12269 | სერბია-ლიტვა | 1.70 | 1.90 |
| 12270 | პოლონეთი-ავსტრია | 1.90 | 1.70 |
| 12271 | სლოვენია-ნორვეგია | 1.70 | 1.90 |

## გოლი: წყვილი-1/კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17253 | უელსი-ინგლისი | 1.85 | 1.95 |
| 17254 | ანდორა-ფინეთი | 1.85 | 1.95 |
| 17255 | ჩრდ.ირლანდია-აზერბაიჯანი | 1.85 | 1.95 |
| 17256 | რუსეთი-ლიხტენშტაინი | 1.85 | 1.95 |
| 17257 | ესტონეთი-ლატვია | 1.85 | 1.95 |
| 17258 | შვედეთი-ბულგარეთი | 1.85 | 1.95 |
| 17259 | შვეიცარია-ისრაელი | 1.85 | 1.95 |
| 17260 | მოლდოვა-ბელარუსი | 1.85 | 1.95 |
| 17262 | შოტლანდია-იტალია | 1.85 | 1.95 |
| 17263 | სომხეთი-ჰოლანდია | 1.85 | 1.95 |
| 17264 | რუმინეთი-ჩეხეთი | 1.85 | 1.95 |
| 17265 | თურქეთი-დანია | 1.85 | 1.95 |
| 17267 | ბოსნია-ბელგია | 1.85 | 1.95 |
| 17268 | ისლანდია-ხორვატია | 1.85 | 1.95 |
| 17269 | სერბია-ლიტვა | 1.85 | 1.95 |
| 17270 | პოლონეთი-ავსტრია | 1.85 | 1.95 |
| 17271 | სლოვენია-ნორვეგია | 1.85 | 1.95 |
| 17272 | უნგრეთი-მალტა | 1.85 | 1.95 |
| 17273 | საფრანგეთი-ფარერები | 1.85 | 1.95 |
| 17274 | პორტუგალია-ლუქსემბურგი | 1.85 | 1.95 |

# გალა ქართულად გაორდა

## ბაბიაშვილს ბარბაქაძე დაეხმარება

**შარშან აზერბაიჯანში ბარე ათი ქართველი თამაშობდა, საამსეზონოდ კი მათი რაოდენობა გვარიანად შემცირდება. ჩვენიანთა მთავარი ნავსაყუდელი, დასავლეთის უნივერსიტეტის გუნდი დაიშალა და იქ მყოფი 5 ქართველის ბედი ჯერაც გაურკვეველია. სამაგიეროდ გადაწყვეტილი ამბავია, რომ კვლავ „გალაში“, აზერბაიჯანის უმდიდრეს გუნდში ითამაშებს ზვიად ბაბიაშვილი, რომელსაც გვერდს დავით ბარბაქაძე გაუმაგრებს. ბაბიაშვილს გუშინ აზერბაიჯანში შევეხმიანეთ ახალი ამბების გასაგებად...**



ზვიად ბაბიაშვილი

**— ზვიად, როგორია შენი ამბები, სად იმყოფები?**

— ახლა საკუთარი მანქანით თბილისში მოვდივარ, საცაა საქართველოს საზღვარს მოვადგები.

**— რატომ, „გალამ“ არ დაგტოვა გუნდში?**

— როგორ არა, „გალასთან“ ახალი კონტრაქტი გავაფორმე, თბილისში კი იმიტომ მოვდივარ, რომ მანქანა დავტოვო და კვლავ ბაქოში დავბრუნდე.

**— ეგ რატომ?**

— იმიტომ, რომ მალე ლიტვაში წავალთ და დაახლოებით ორი თვე ბაქოში არ ვიქნები. არ მინდა, ამდენ ხანს მანქანა ბაქოში უპატრონოდ იყოს და შინ მომყავს.

**— ახლა კალათბურთზეც გადავიდეთ. კონტრაქტი ეგრევე გაგიფორმეს თუ ლოდინი დაგჭირდა?**

— აქ რომ ჩამოვედი, მერე უკვე პრობლემა აღარ შემიქმნეს, მანამდე კი ცოტას ვნერვიულობდი, მეგონა, გალულებს აღარ ვუნდივარ-მეთქი. გასული სეზონის ბოლოს კი დამპირდნენ, კვლავ აქ ითამაშებო, მაგრამ მთელი ზაფხული ისე გაილია, ბაქოდან არავინ შემხმიანებია და ცოტა დავეჭვდი. ხელი თითქმის ჩაქნეული მქონდა, როცა 25 აგვისტოს „გალას“ მწვრთნელმა რიმას კურტინაიტისმა დამირეკა. ის ლიტვაში იყო შვებულებით და მითხრა, ამ დღეებში „გალას“ პრეზიდენტი დაგირეკავს და შეგითანხმდება, ბაქოში როდის ჩახვიდეო. იმავე საღამოს დამირეკა ბაქოელთა პრეზიდენტმა და მითხრა თუ შეგიძლია, ხვალვე ჩამოდი, ვარჯიშს ვიწყებთო.

**— თუ კურტინაიტისი ლიტვაში იყო, როგორ იწყებდნენ შეკრებას?**

— რიმასი ახლაც ლიტვაშია, მეორე მწვრთნელი გვავარჯიშებს. 8 სექტემბერს ლიტვაში მივდივართ შეკრებაზე, საიდანაც პერმში, შემდეგ კი უკრაინულ იუჟნიში გადავალთ „ჩელენჯ ქაფის“ მატჩების სათამაშოდ.

**— „ჩელენჯ ქაფი“? „გალას“ დიდი ამბიცია ჰქონდა...**

— რუსეთის, ანაც უკრაინის ჩემპიონატებში უკონკურსოდ თამაში არ გამოვიდა, ძალიან ბევრ თანხებთან იყო დაკავშირებული. კლუბის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, კვლავ „ჩელენჯ ქაფზე“ გვეთამაშა.

**— ახალი კონტრაქტი უწინდელზე უკეთესია?**

— ოდნავ უკეთესია. ცოტა ხელფასი მომიმატეს და ბინა უკეთეს რაიონში, ცენტრში მომცეს.

**— შემადგენლობა მნიშვნელოვნად შეიცვალა?**

— არც ისე. ლიტველი ლუკმინასი დარჩა, ამერიკელები წავიდნენ. ახლა ორ ამერიკელს ელიან, რომლებზეც ამბობენ, ძალიან მაგრები არიანო. შემოგვემატა ორი „დასავლეთის უნივერსიტეტის“ მოთამაშე — ზაურ პაშაევი და ტარიქ ბაზშიევი.

**— მაგ გუნდში ხომ ბლომად ქართველები იყვნენ, ისინი ხომ არ აპირებენ გადმოსვლას?**

— ქართველი კი შეგვემატა, მაგრამ არა „დასავლეთის უნივერსიტეტიდან“. დავით ბარბაქაძე „აზერში“ თამაშობდა, თუმც კურტინაიტისის მოწონება დაიმსახურა და ჩვენთან გადმოვიდა. დასავლეთ უნივერსიტეტელთაგან კი ჩვენთვის კარგად ნაცნობი ჟოლივეტ ტუჯანი აპირებს გადმოსვლას. აქ მას დღედღეზე ელიან.

**ირაკლი პერტაია**



# ვინ იქნება ბოლო კაცი?

**საქართველოს** ძიუდოისტთა ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოსამზადებელ ციკლს ლიკანის შეკრებით ასრულებს. შოთა ხაბარელის სამწყსო კვირაზე მეტია, მთაშია და დღეში ორჯერ ვარჯიშობს. შეკრება გუნდის ქაიროში გამგზავრების წინა დღემდე, 6 აგვისტომდე გასტანს, თუმც მსოფლიოზე წამსვლელი საბოლოო შემადგენლობა ჯერაც უცნობია.

წონებში საუკეთესოები ნაკრების თავკაცმა ნელ-ნელა დაასახელა. ბოლოსთვის კი შედარებით რთულად მისაღები გადაწყვეტილება მოიტოვა. 81 კილოგრამში ეგვიპტის საგზურს ერთმანეთს გრიგოლ მამრიკიშვილი და გრიგოლ შინჯიკაშვილი ეცილებიან.

„ნაკრების ბოლო წევრის ვინაობა ცნობილი ხვალ დილით, თერთმეტი საათისთვის გახდება — გვითხრა გუშინ შოთა ხაბარელმა — მამრიკიშვილს და შინჯიკაშვილს ლიკანის შეკრებაზე მყოფ ხუთ სპარინგთან ვაჭიდავებ და საგზურსაც ის მოიპოვებს, რომელსაც უკეთესი შედეგი ექნება“.

სანამ 81 კილოგრამის საქმე გაირკვეოდეს, საქართველოს ნაკრების შემადგენლობას ამ წონის გამოკლებით ჩამოვთვლით: 60 კგ ნესტორ ხერგიანი, 66 კგ დავით მარგოშვილი, 73 კგ დავით ქევხიშვილი, 90 კგ ზურაბ ზვიადაური, 100 კგ გია გუგავა, +100 კგ ლაშა გუჯეჯიანი, აბსოლუტური გიორგი ყიზილაშვილი.

მსოფლიოს ჩემპიონატი 8-12 სექტემბერს გაიმართება და მისი პირდაპირი რეპორტაჟი, სავარაუდოდ, ერთ-ერთი ქართული ტელეარხით გადაიცემა.

**ოთარ მაღლაკელიძე**



# გუბერნატორიდან ბორჯომამდე

**ბალაშიხაში** მიმდინარე 25 ათას დოლარიანი საპრიზო ფონდის ტურნირი „გუბერნატორის თასი“ ქართველი მაკა ჩახნაშვილისთვის გუშინ დასრულდა. ჩვენებური ბელარუს დარია კუსტავასთან დაძაბულ ბრძოლაში დამარცხდა — 5:7, 5:7 და მეოთხედფინალს მიღმა დარჩა.

შემდეგი ტურნირი ჩახნაშვილს უკვე იმ კორტებზე ელის, რომელზეც წლების განმავლობაში ვარჯიშობს. 12 სექტემბრიდან „პლეხანოვზე“, ლეილა მესხის აკადემიაში „ბორჯომის თასი“ გახურდება. მისი საპრიზო ფონდი 10 ათასი დოლარი იქნება. 19 სექტემბრიდან კი იმავე კორტებზე 25-ათასიანი ტურნირიც ჩატარდება.

**ოთარ მაღლაკელიძე**





# სტიქიას სპორტი ფულით ებრძვის



**ვისაც** რამის შესაძლებლობა აქვს, ყველა ეხმარება სამხრეთ-აღმოსავლეთ ამერიკის დატბორილ შტატებს — ლუიზიანას, ალაბამას, მისისიპისა და ფლორიდას. სტიქიით დაზარალებულებს თანადგომა ამერიკის კალათბურთისა და ჰოკეის პროფესიულმა ლიგებმაც გამოუცხადეს, რომლებმაც ფულის შეგროვება უკვე დაიწყეს.

მოგახსენებთ, ამ დღეებში ამერიკის სამხრეთ სანაპიროებს „კატრინად“ წოდებული საშინელი ქარიშხალი მიაწყდა და ისეთი შტორმი გამოიწვია, რომ არაერთი ქალაქი დატბორა. ოფიციალურად ჯერჯერობით 67 ადამიანის დაღუპვა დასტურდება. თუმც, როგორც ვარაუდობენ, მსხვერპლი გაცილებით მეტია.

ნბა-ს წარმომადგენლებმა პრესკონფერენცია მოიწვიეს და განაცხადეს, რომ რამდენიმე დღეში მილიონ დოლარს შეაგროვებენ დაზარალებულთათვის გადასაცემად. ამერიკის კალათბურთის მესვეურები ასევე სამთავრობო სტრუქტურებთან მჭიდრო თანამშრომლობას აპირებენ, რათა სტიქიის მსხვერპლთა გაჭირვება შეუმსუბუქონ.

ნჰლ-ის უფროსობამ კი უკვე გამოყო 1 მილიონი დოლარი, ხოლო დატბორილ-დანგრეულ ნიუ ორლეანის გუნდს „საინტსს“ სხვა ქალაქში საოფისე შენობის გამოყოფას დაჰპირდა.

**ირაკლი პერტაია**

### პირველი წრე

კაცები

**ლეიტონ ჰიუიტი** (3, ავსტრალია) — ალბერტ კოსტა (ესპანეთი) 6:1 6:2 6:1; **დომინიკ ჰრბატი** (15, სლოვაკეთი) — ანდრეას სეპი (იტალია) 6:2 6:4 6:7 (6:8) 6:2; **დავიდ ფერერი** (17, ესპანეთი) — აგუსტინ კალიერი (არგენტინა) 4:6 6:4 №:7 )4:7) 6:1 6:1; **ტაილორ დენტი** (25, აშშ) — ლარს ბიურგსმიულერი (გერმანია) 6:3 3:6 6:1 6:4; **კაროლ კუჩერა** (სლოვაკეთი) — მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) 6:4 6:2 7:5

### მეორე წრე

კაცები

**რაფაელ ნადალი** (2, ესპანეთი) — სკოვილ ჯენკინსი (აშშ) 6:4 7:5 6:4

### ქალები

**მარია შარაპოვა** (1, რუსეთი) — დალი რანდრიანტეფი (მადაგასკარი) 6:1 6:0; **კიმ კლაისტერსი** (4, ბელგია) — ფავიოლა სულუაგა (კოლუმბია) 7:5 6:0; **სერენა უილიამსი** (8, აშშ) — კატალინა კასტანიო (კოლუმბია) 6:2 6:2; **ნადია პეტროვა** (9, რუსეთი) — აიკო ნაკამურა (იაპონია) 6:2 6:0; **ვინუს უილიამსი** (10, აშშ) — მარია კირილენკო (რუსეთი) 6:1 6:3; **მარია ვენტო-კაბჩი** (ვენესუელა) — ანა ივანოვიჩი (18, სდჩ) 3:6 7:5 6:1; **დანიელა ჰანტუხოვა** (20, სლოვაკეთი) — მარია ემილია სალერნი (ესპანეთი) 6:1 6:0.

US OPEN 2005

# ქარი ქრის თუ ქალი?!

## კატრინამ მდედრები გაწეწა



მარია შარაპოვა

**ნიუ ორლეანის** წამლეკ ტაიფუნ კატრინას მიერ ნაკუდარი ქარიანობისა და წვიმიანობის გამო სამ-აშშ-ის-ღია-პირველობო განრიგი ზორბად დაირღვა და იმის ნაცვლად, დღეს ძალღთუმრავლეს შეხვედრაზე ვსაუბრობდეთ, ოდენ რამდენიმე ფავორიტის სუმბუქ გასეირნებებზე გვიწევს თხრობა.

თუმცა, ცოდვა თუნდ გაუმხელელი სჯობდეს, იმ დღეს ჩოგნაობამონაწრებ ფავორიტთაგან გასეირნება ყველას არ გამოსვლია — მარტო ანგარიშიდანვე დაატყობდით, რომ 19 წლის მალიორკელ ფასკუნჯ რაფაელ ნადალს თავისზე წლით უმცროსი სკოვილ ჯენკინსის დამორჩილება კაი ძალისხმევად და რამედ დაუჯდა.

ეს მართლაც მაგარი ბიჭი ყოფილაო, იძახდა ამ სამ-დაძაბულ-სეტიანი ბურთაობის მერე ნადალი და ბოლოს დასძენდა, მის მოსადრეკად მთელი ასი პროცენტით დახარჯვა მომიხდაო.

და მართლაც — ვინც ეს მატჩი იხილა, დასტურ დაგვეთანხმება, რომ ცოტა ხანში სკოვილ ჯენკინსის სახით ერთი დიაღ სახიფათო და ტიტულთმომლვაწი ჭაბუკი უნდა მოგვევლინოს. ამ მომენტისთვის კი — მისი დასტურ ხალასი ნიჭისა და მედგარი სულის მიუხედავად — ის ერთობ ჭყლინტი და გამოუცდელია საიმისოდ, რათა ნადალისთანა მრავალ საჯანდრავში გამოტარებულ ოსტატებს აჯობოს.

არადა, ვიშ, რა დიდებული სანახავი იყო ის ხამუშ-ხამუშ, როცა ამქრის საუკეთესო მომბრუნებელს კორტის კიდემდე მიწევნილი ბურთებით ხიშტავდა და რაწამს ამის საშუალება ეძლეოდა, მყისვე აგრესიულად ეტევებოდა. ო, რარიგ დანატრებულია ამქარი ასეთ შემტევ და მიმძალებელ ყაიდას, ვაჰმე, რარიგ თვალსა და ჩოგანს შუა დაგვიხურდავდა საყვარელი თამაში მომაბეზრებელ განდაგანებად!

მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი ტურნირი ჩაივლის, ვიდრე ეს აფროამერიკელი ყმაწვილი თავის ჰალალ, ლაღ ბურთაობას ქულათა სტაბილურად შოვნის ხელოვნებას შეუხამებდეს და გადამწყვეტი გათამაშებებისას ატროკების ნაცვლად, მეტოქის დინჯად და აუღელვებლად მისიკვდილებას ისწავლიდეს.

ალბათ, ამდენივე დრო დასჭირდებათ მის ნათესავ-ქომაგთაც, მისი ყოველი მოგებული ქულის მერე გოიმურად მჯილის ცემასა და დიმპიტაურს რომ გადაეჩვიონ...

მანამდე კი რაფა ნადალის ძლევა კვლავაც ურჩეულესთა პრეროგატივად დარჩება, ამათ შორის მოხვედრის შანსი კი დღეს ეგებ ჯეიმს ბლეიკსაც მიეცეს, ვისაც გუშლამ, უკეთუ ალლო არ გვატყუებს, რუსი იგორ ანდრეევი უნდა გაეიმასპინძლებინა.

ჯენკინსით განსაკუთრებულად დაინტერესებულ მკითხველთ კი ვაუწყებთ, რომ ეს პერსპექტიული ყრმა ამ ტურნირამდე რეიტინგსიის 352-ე ადგილზე იდგა და აქამდე ძირითადად ჩელენჯერისა და ფიუჩერსის ტურნირებზე გამოდიოდა. არტურ ეშის სახელობის კორტზე კი ის ცხოვრებაში მეორედ გამოჩნდა — პირველად მან აშშ-ის შარშანდელი ღია პირველობის პირველ წრეში იქ ენდი როდიკთან იჩოგნავა და ისე გაბუნძულდა, თავი არავისთვის დაუმახსოვრებია.

ახლა კი მისი ხსოვნა, სულ მცირე, იმ დრომდე მაინც გაგვყვება, სანამ საბოლოოდ გავარკვევდეთ — მართლა ღირს ამ კაცის დამახსოვრება თუ არა.

სხვაფრივ — ამერიკელზე ვსაუბრობთ და ხამს, ორიოდ სიტყვით განვავრცოთ აშშ-ის ღია პირველობაზე მოჩოგნავე ხვადთა ისე-რა საპირველწრეებო გამოსვლის თემა.

თავდაპირველად ბადეში 18 მასპინძელი კაცმეჩოგნე იყო, ხოლო საამმომენტოდ, როცა რომ ამ სტრიქონთა ავტორი კლავიატურას ელერსება, „მკვდრის სკივრს" ექვსად ექვსი იანკი მობურთალია შერჩენილი. ამათ შორისაა ბრგე ტაილორ დენტიც, ვინაც იმ დღეს გერმანელ ლარს ბიურგსმიულერს სძლია და ნამატჩევს ძირითადად წინა დღეს ლუქსემბურგელი ჟილ მიულერის მიერ სენსაციურად ოტებული ენდი როდიკის შესახებ ისაუბრა.

„სირცხვილია, როცა ენდის ამ წაგების გამო ამუნათებენ — ამბობდა ის — კაცთა ჩოგბურთში ასეთი რამეები ხშირად ხდება და რომელიღაც დაწყევლილ დღეს შეიძლება, ყველაზე ძლიერიც დამარცხდეს."

სხვათა შორის, ტაილორი ერთადერთი ამერიკელია ბადის ზედა ნახევარში. ქვედაში კი ზემოთ ხსენებული ბლეიკის გარდა ბრძოლას ჯერ კიდევ განაგრძობენ რობი ჯინეპრი, გასტონ გაუდიოს გამგდები ბრაიან ბეიკერი, გამოცდილი ვინს სპედია და პირველობის ორგზის ჩემპიონი, 35 წლის ქურუმი ანდრე აგასი.

ახლა კი — როგორც ეს ამ ბოლო დღეებში დავამკვიდრეთ — სხვებზეც!

სხვათაგან კი უპირველესად უნდა მოვიხსენიოთ ტურნირის 2001 წლის ჩემპიონი ლეიტონ ჰიუიტი, ვინაც საქმეში სწორედ იმ დღეს ჩაება და საათზე მხოლოდ ოცი წუთით მეტი მოანდომა როლანგაროსობის 2002 წლის ჩემპიონ ალბერტ კოსტას შემუსვრას.

„დღეს თამაში უსაშინლეს პირობებში მოგვიხდა — ქარიანობას უჩიოდა ნამატჩევს ჰიუიტი — ამის გამო ერთი სული მქონდა, თამაში რაც შეიძლება მალე მომეთავრებინა და შხაპს შევყუდებულიყავი."

ბადის საჰიუიტო მეოთხედში — მარატ საფინის ტრავმის გამო თვითოტებისა, ხოლო სხვათა გამოვარდნის შემდეგ — ყველაზე მაღალგანთესილად სლოვაკი დომინიკ ჰრბატილა დარჩა. ეს გარემოება კი იმის სრულ უფლებას გვაძლევს, უდიდესი მიახლოებით ვივარაუდოთ, რომ როჯერ ფედერერს ნახევარფინალში სწორედ კისკასი ოზბიჭი შეხვდება.

რაც შეეხება მდედრიონს, აქ საპირველგვერდო მოულოდნელობანი ისედაც ძალზედ იშვიათად ხდება ხოლმე და გუშინ ხომ საერთოდაც არაფერი მომხდარა ისეთი, ჩვენს სუფრაზე განსხვავებულით დღეგრძელობას რომ იმსახურებდეს.

ტურნირის მთავარგანთესილმა მარია შარაპოვამ მადაგასკარელ დალი რანდრიანტეფის ოდენ ერთი გეიმი დაუთმო და ნამატჩევს იმას იძახდა, დღეს ისეთი ქარი იყო, ქალს ყველაფრის მოლოდინი უნდა გქონოდაო.

მაგრამ, ჩვენს შორის თუნდ ნუ დარჩება, ამ ქარით ყველაზე მეტად მაშას სხეულებრივ საშიშროებას დადარაჯებულმა ხვადრიონმა ისარგებლა, რომელსაც ქარის ფრიალში დაბერვისას ხელი ერთ სტერილს შიშ ქონდა... ჰმ, ცხადია, გულით.

მერე კი კორტზე უილიამსები გამოჯლიგინდნენ და სერენამ რომ კოლუმბიელ კასტანიოს გადაუღუნა, ვინუსმა ნორჩი რუსი მარია კირილენკო დაჩაგრა. აი, კიმ კლაისტერსმა კი ქომაგები ოდნავ აღერვიულა — პირველ სეტში 4:0-ით დაწინაურებულს სადავეები მოუშვია და კოლუმბიელმა სულუაგამ მისთვის მიჯრით ხუთი გეიმის ახევა შეძლო (4:5). მაგრამ დრანცულა ბელგიელი მერე უმალ აზრზე მოვიდა და ჯერ პირველი სეტი რომ დაიბრუნა (7:5), მეორეში სულ მთლად აღვირახსნილად გაირჯა - 6:0.

ბოლოს კი ორიოდ სხვა მეჩოგნეზეც. მარკ ფილიპუსისს უმძლავრესი მოწოდების გამო „სკადს" რომ უწოდებენ, ეგ ჩოგბურთიდან გვერდით ჩავლილმა ხალხმაც კი იცის. ოღონდ ეს ახამახი ავსტრალიელი მეჩოგნე წლეულს რომ სულ მთლად წარუმატებლად გამოდის, ეგ კი უკვე ოდენ საქმეში ჩახედულთ უწყიან. რაღა ბევრი გავაგრძელოთ, აშშ-ის 1998 წლის ფინალისტმა ამ ჯერზე პირველ წრეში სლოვაკ კაროლ კუჩერასთან ჩაიფლავა და კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ მისი საშველი აღარ არის.

ქალთა შარშანდელი ჩემპიონის, სვეტლანა კუზნეცოვას პირველ წრეში მძლეველმა რუსმა ეკატერინა ბიჩკოვამ კი მეორე წრეში მასზე უფრო უსახელო ხორვატ კვალიფაიკანტ ივანა ლისიაკთან წააგო 5:7 1:6 და ამით საბოლოოდ დაგვარწმუნა, რომ კუზნეცოვასთან მატჩში ეს სწორედ ამ უკანასკნელმა წააგო და არა მან მოიგო. აბა!

**ლევან კელაურაძე**



რაფაელ ნადალი

# სამეფო რბოლების ლეგენდა 12

## ჯონ სარტისი

დაიბადა 1934 წლის 11 თებერვალს ტატსფილდში, კენტის საგრაფო (ინგლისი)
ფორმულა 1-ში გამოდიოდა 1960-1972 წლებში
მსოფლიოს 1964 წლის ჩემპიონი
1966 წლის ვიცე-ჩემპიონი
1962, 63, 67 წლებში – მეოთხე ადგილები
1965 წელს – მეხუთე ადგილი
მოიგო 6 დიდი პრიზი: გერმანიის (1963, 64), იტალიის (1964, 67), ბელგიის (1966), მექსიკის (1966)
111 რბოლა, 24 (6+10+8) პოდიუმი, 8 პოულ-პოზიცია, 11 უსწრაფესი წრე, 180 ქულა
გუნდები: ლოტუს-კლიმა (1960), კუპერ-კლიმა/მაძერატი (1961, 66), ლოლა – კლიმა (1962), ფერარი (1963-66), ჰონდა (1967, 68), **BRM** (1969), მაკლარენი (1970), სარტის-ფორდი (1970-72)



*ჯონ სარტისი მოტორსპორტის ისტორიაში ერთადერთი მრბოლია, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა მოტო და ავტორბოლაში.*

*მრავალმხრივ ნიჭიერმა პიროვნებამ თითქმის ოცწლიანი სამძღოლო კარიერის ბოლოს საკუთარი საფორმულო გუნდი შექმნა და ორი სეზონი თავად უჯდა „სარტის-ფორდის“ საჭეს.*

*ბუნებით მებრძოლი და პირდაპირი, ჯონი ყოველთვის აკეთებდა მხოლოდ იმას, რასაც სწორად თვლიდა და მუდამ ამბობდა იმას, რასაც ფიქრობდა. გარკვეულწილად ამიტომაც იყო, რომ 12 წელიწადში რვაჯერ მოუხდა გუნდის გამოცვლა.*

*მართალია სარტისს ფორმულა 1-ის გენიოსთა შორის არ მოიხსენიებენ, თუმც არავის და არასოდეს დაუყენებია ეჭვქვეშ მისი, როგორც პილოტისა და როგორც კონსტრუქტორის უმაღლესი პროფესიონალიზმი.*

*უნივერსალური და უნიკალური „დიადი ჯონი“ უდიდესი ავტო-მოტო დამსახურებისთვის, 1996 წელს საერთაშორისო მოტორსპორტის დიდების დარბაზში ჩარიცხეს*

ჯონის მამა ჯეკ სარტისი ცნობილი მოტომრბოლი იყო, ინგლისის სამგზის ჩემპიონი. დაჯირითობდა როგორც ერთადგილიანი ასევე ეტლიანი მოტოციკლებით. მას ლონდონის აღმოსავლეთ ნაწილში ჰქონდა სახელოსნო და მაღაზიაც, რომელიც მოტოებით ვაჭრობდა.

მშობლებმა ჯონი ბავშვობიდან მიაჩვიეს შრომას და 11 წლიდან მამასთან მექანიკოსად მუშაობდა. მას უკვე საკუთარი მოტოციკლეტი ჰქონდა, რომლის მართვაც ეხერხებოდა და შეკეთებაც.

1949 წელს, მიუხედავად იმისა, რომ სრულწლოვანებამდე ბევრი აკლდა, შეჯიბრებებში დაიწყო გამოსვლა, ზოგჯერ მამასთან ერთადაც დაქროდა ტრასებზე — ეტლში მგზავრის როლს ასრულებდა.

სკოლის დამთავრების შემდეგ ჯონმა მუშაობა დაიწყო მოტოციკლეტების სახელგანთქმულ ფირმა „ვინსენტში“ ინჟინრობის შესასწავლად. 19 წლისამ თავისი ხელით ააგო 500 კუბურ სანტიმეტრიანი „გრეი შედოუ“, რომლითაც არაერთ შეჯიბრებაში მონაწილეობდა როგორც ბრიტანეთში, ასევე მის გარეთ. პირველივე სეზონში მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა ლონდონის მახლობლად „ბრენდს ჰეჩის“ ავტოდრომზე პრესტიჟულ რბოლაში, სულ კი „ვინსენტის“ სახელით 76 ეტაპიდან 68 მოიგო.

1955 წლის ბოლოს სარტისი იტალიურ სუპერგუნდ „MV აუგუსტაში“ გადავიდა და უდიდეს წარმატებასაც მიაღწია, მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი გახდა — სამჯერ 350-კუბიან (იმხანად ასეთი კატეგორიაც არსებობდა), ოთხჯერ კი 500-იანთა კლასში. მაშინ იყო, აღფრთოვანებულმა იტალიელმა ტიფოზებმა მას „ილ გრანდე ჯონ“ — „დიადი ჯონი“ რომ შეარქვეს. სამშობლოში „ქარის შვილს“ და „უშიშარ ჯონს“ ეძახდნენ.

25 წლისას ავტოგაჯირითების სურვილი გაუჩნდა. მოტოშეჯიბრებების პარალელურად „კუპერით“ ფორმულა „ჯუნიორში“ რამდენიმე საცდელ რბოლაში გამოვიდა და არცთუ ურიგო შედეგები აჩვენა, რის შემდეგაც უნიჭიერესმა კონსტრუქტორმა კოლინ ჩეპმენმა თავის ახალშექმნილ გუნდ „ლოტუსში“ მიიწვია.

ჯონმა ორიდან ოთხ ბორბალზე გადასვლა გასაკვირად მალე და იოლად მოახერხა. 1960 წელს მან მორიგი ორი მოტოტიტული მოიპოვა და ფორმულა 1-ის ჩემპიონატშიც ჩაება. დებიუტი 29 მაისს მონტე კარლოში შედგა. სიჩქარეთა კოლოფის მოშლის გამო „ლოტუს-კლიმამ“ მხოლოდ ორმოცდაათიოდე კილომეტრის გავლა შეძლო. თვენახევრის მერე, თავის მეორე რბოლაში მშობლიურ „სილვერსტოუნზე“, ახალბედამ სენსაციური წარმატება იზეიმა. სარტისმა სტარტი მე-11 პოზიციიდან აიღო, ფინიშთან კი 24 მონაწილეს შორის მეორე მიიჭრა მსოფლიოს ჩემპიონ ჯეკ ბრებემის შემდეგ.

მშვენივრად იქროლა პორტუგალიაშიც. ჯერ იყო და კვალიფიკაცია მოიგო, რბოლაში უსწრაფესი წრე მიითვალა და კარგა ხანს ლიდერობდა კიდეც, მაგრამ დისტანციის მესამედის გავლის მერე ბრძოლას გამოეთიშა. მიზეზი ბანალური იყო: მანქანის წინა ნაწილში მდებარე ავზიდან ბენზინმა გაჟონა და სამუხრუჭე პედალი დაასველა. ჯონს ერთ-ერთ მოსახვევში პედლიდან ფეხი ჩამოუცურდა, დამუხრუჭება ვერ შეძლო და დამცავ ბარიერზე მიხეთქებულ „ლოტუსს“ რადიატორი დაემტვრა.

მართალია, ინგლისელი ახალბედა იმ ჩემპიონატის სულ ოთხ რბოლაში მონაწილეობდა და ექვსი ქულით მხოლოდ მე-12 ადგილი დაიკავა, მაგრამ ყველასთვის ცხადი გახდა, რომ ფორმულა 1-ში ახალი ვარსკვლავი გამოჩნდა.

მომდევნო ორი სეზონი „კუპერსა“ და „ლოლაში“ გაატარა. შედეგები 1962 წელს გაუმჯობესდა — ორი პოდიუმი, 19 ქულა და საერთო ჩათვლაში მეოთხე ადგილი სუპერ ასების — გრემ ჰილის, ჯიმ კლარკისა და ბრიუს მაკლარენის შემდეგ. მაგრამ სპონსორებმა „ლოლას“ დაფინანსება შეუწყვიტეს და საჯინიბომაც „სამეფო რბოლებიდან“ გუდა-ნაბადი აიკრა.

სარტისი უმუშევარი არ დარჩენილა. არცთუ შთამბეჭდავი შედეგების მიუხედავად, ნიჭიერ და შეუპოვარ მძღოლს თვალი დაადგა თვით ენცო ფერარიმ, რომელიც მუდამ სიმპათიით იყო ბრიტანელების მიმართ და ხანგრძლივი კონტრაქტიც გაუფორმა.

კომენდატორეს ბოლიდებით ჯონმა ოთხი წელი იქროლა. დასაწყისი სახარბიელო ვერ იყო — 1963 წლის ათ რბოლაში 22 ქულა და ისევ მეოთხე ადგილი, თუმც სწორედ იმ ჩემპიონატში მოიგო თავისი პირველი დიდი პრიზი გერმანიაში, ნიურბურგის უმძიმეს ტრეკზე.

სამაგიეროდ, მომდევნო სეზონში სარტისი, როგორც იქნა, ჩემპიონის ტიტულს ეღირსა. ისე, ცოდვა გამხელილი სჯობს და მისი თანაფერარელი ლორენცო ბანდინის დახმარება რომ არა, საპირველფორმულო ისტორია სხვაგვარად დაიწერებოდა.

1964 წლის ჩემპიონატი ბრიტანელი მრბოლებისა იყო, დასკვნითი, მექსიკური ეტაპის წინ ტიტულის შანსს მხოლოდ ჰილი, სარტისი და კლარკი ინარჩუნებდნენ. ათდიდპრიზიან დრამატულ ბრძოლას წერტილი მეხიკო-სიტიში დატრიალებულ ტრილერში დაესვა.

კლარკმა რბოლა ჩინებულად დაიწყო და პირველივე წრის მერე ორი წამით დაწინაურდა. ჰილს სტარტის წინ დამცავი სათვალის სამაგრი გაუწყდა, რის ხელახლა დამაგრებასაც გვარიანი დრო დასჭირდა. მერე სარტისის „ფერარის“ ძრავამ აურია. მოკლედ, პირველი წრის ბოლოს ჰილი მხოლოდ მეათე იყო, სარტისი კი — მეცამეტე.

პრეტენდენტებმა თანდათან თითქოს გამოასწორეს ვითარება, მაგრამ ფინიშამდე რამდენიმე წრით ადრე კლარკის „ლოტუსს“ ზეთი გაედინა, ხოლო ჰილი მეორე ფერარელმა ლორენცო ბანდინიმ აგრესიული გასწრების მორიგი ცდისას მოსახვევში განზრახ შეჯახებით ტრასიდან გააგდო.

რბოლას გარნი ლიდერობდა, მას უკან მისდევდნენ ბანდინი და სარტისი. ამგვარი ფინიშისას ჩემპიონის ტიტული ჰილს დარჩებოდა, მაგრამ ბოლო წრეზე, ზედ ფინიშის წინ ბანდინიმ დელიკატურ-კოლეგიალურად წინ გაუშვა სარტისი, რითაც თანასკუდერიელს პირველი და უკანასკნელი საჩემპიონო გვირგვინი მოაპოვებინა. საბოლოოდ სარტისმა ჰილს მხოლოდ ერთი ქულით აჯობა.

ეს იყო და ეს. ამის შემდეგ სარტისის უკუსვლა დაიწყო. ჯერ იყო და 1965 წელს კანადაში რბოლისას ისეთ საშინელ ავარიაში მოხვდა, რომ თვითმხილველები ამბობდნენ, სიკვდილს თვალებში ჩახედა და სასწაულით გადაურჩაო... როცა აღარავინ ელოდა, გასაოცრად მალე ჩადგა მწყობრში და ტრასებზეც გაიჯირითა, თუმცა ნაავარიები ძველებურად ჯანზე ვეღარ იყო.

ყველაფერი კი იმით დასრულდა, რომ 1970 წელს ჯონ სარტისმა საკუთარი საფორმულო საჯინიბო შექმნა, ცხადია, მომავლის იმედით და ორიოდე წელი თავადაც უჯდა საჭეს. „სარტის-ფორდმა“ კი მხოლოდ ის შეძლო, რომ ფორმულა 2-ის ჩემპიონატი მოიგო, მერე კი 1978 წელს არსებობა შეწყვიტა ფინანსურ-ტექნიკური პრობლემების მიზეზით.

ამბობდნენ, ჯონ სარტისი მკვახე, პირში ყველაფრისმთქმელი პიროვნება იყოო. არა გვგონია, ამას მის საპირველფორმულო კარიერაზე რაიმე გავლენა მოეხდინოს.

ასეა თუ ისე, „დიადი ჯონი“ ნორმალურ ცხოვრებას დაუბრუნდა. იმასაც ამბობენ, ყოველივე ამან მის ცხოვრებას კარგი განწყობა შეუნარჩუნა, ჯონ სარტისი თავის სოფლის მშვენიერ სახლს დაუბრუნდა და მეორე ცოლთან ერთად დღესაც ბედნიერად ცხოვრობსო.

**გია ახალაძე**



ჯონ სარტისი მოტორბოლაში მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონია



სარტისი 1996 წელს დიდების დარბაზში შეიყვანეს



1964. „დიადი ჯონის“ საჩემპიონო „ფერარი“

სამი ერის ვარსკვლავები



# აფრიკელი კამეჩის ბეზერი რქები

**აფრიკელებმა** მეტსახელების ზუსტად შერჩევა იციან. ბუნებასთან მჭიდრო კავშირმა აფრიკელებს ადამიანების დასახასიათებლად მათი სხვადასხვა ცხოველებთან შედარება ასწავლა.

აბა, გამოიცანით, რატომ ეძახიან სამხრეთ აფრიკის ნაკრების ერთ-ერთ ვეტერანსა და უმთავრეს ვარსკვლავ იაკობუს პეტრუს დუ რანდტს, ოზ დუ რანდტს? იმიტომ, რომ სიტყვა „ოზ“ ადგილობრივთა სიტყვა „ოქს“-იდან წამოვიდა, ოქს კი თავის მხრივ სხვა არაფერია, თუ არა კამეჩი, ან აფრიკული ცხოველი, რომელიც ძალიან წააგავს ჩვენებურ კამეჩს.

რატომ მაინცდამაინც კამეჩი, ამას ნუღა იკითხავთ, უბრალოდ, ამ კაცის სურათს დააკვირდით.

იაკობუს პეტრუსი 1972 წლის 8 სექტემბერს სამხრეთაფრიკულ ელიოტში დაიბადა და დღეისთვის მსოფლიოს რაგბის სამყაროსთვის ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო პირველ ნომრად ითვლება. ასე ალბათ იმიტომაც მიიჩნევენ, რომ ამ პოზიციაზე მოთამაშე სხვა, მორაგბეთაგან განსხვავებით, ოზი არა მხოლოდ დიდი ფიზიკური ძალითა და მასით, არამედ ათლეტურობითა და მობილურობითაც გამოირჩევა.

დუ რანდტი ერთ-ერთი უკანასკნელია იმ მორაგბეთაგან, რომელიც ამ სპორტში ჯერ კიდევ მაშინ გახდა პოპულარული, როდესაც რაგბი მთლიანად არაპროფესიონალური იყო.

სამხრეთ აფრიკის ნაკრების გარდა, იგი ზე-თორმეტულ კლუბ „ქეთსში“ თამაშობს, ქარის თასზე კი ჩიტას შემადგენლობაში ირიცხება.

„ქურციკთა“ რიგებში პირველი შეხვედრა 1994 წელს ჩაატარა და სულ რაღაც 1 წლის მერე ამ გუნდთან ერთად მსოფლიოს ჩემპიონიც შეიქნა.

მას შემდეგ იგი აფრიკელთათვის შეუცვლელ მოთამაშედ იქცა და 1999 წელს „ვორლდ რაგბი მეგეზინის“ გამოკითხვით მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო პირველ ნომრებს შორის მეორე ადგილზე გავიდა.

2000 წლიდან მის კარიერაში რთული პერიოდი დაიწყო. ტრავმებმა ისე გაწამა, რომ საბოლოოდ ბუცების კედელზე ჩამოკიდებასაც კი აპირებდა. 2002 წლამდე დუ რანდტს ფაქტობრივად აღარ უთამაშია, თუმცა დაბრუნების შემდეგაც ვერა და ვერ შეძლო სასურველი ფორმის აღდგენა. მაშინ ინტერვიუებში აცხადებდა, რაგბის თამაში კი არა, ყურებაც მეზარება. როდესაც ტელევიზორში ისეთ გადაცემას ვხედავ, რომელიც მას ასე თუ ისე უკავშირდება, უმალ სხვა არხზე ვრთავო.

მაინც ვერ მოითმინა ამ გოლიათის გულმა საყვარელი საქმის გარეშე და 2004 წელს ადგილობრივი თასის გათამაშებაში ჩართო, ამავე წელს ნაკრები ჯეიკ უაითმა ჩაიბარა და დიდკაცს კვლავ „ქურციკთა“ რიგების გასამყარებლად უხმო.

ოზ დუ რანდტი იყო ერთ-ერთი იმ მორაგბეთაგანი, რომლის წყალობითაც სამხრეთაფრიკელებმა დიდი ხნის ჩავარდნის შემდეგ ისევ შეძლეს მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი ნაკრების სახელის დაბრუნება და დასტურად 3 ერის თასის გათამაშებაში იპრეველეს.

190 სმ სიმაღლისა და 125 კგ წონის სამხრეთაფრიკელი „ოქსი“ ბოლოა იმ მორაგბეთაგან, რომლებმაც 1995 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე უპრეველიათ, თუმცა სანამ რაგბს საბოლოოდ ჩამოშორდებოდა, ეგებ თავისი სიტყვა კიდევ არაერთხელ თქვას.

ხომ გაგიგონიათ, ბეზერი ხარისა რქებიცა ხნავენო...

**ლადო ფულუკიძე**



# ბოდიშმა საქმეს ვერ უშველა

**ატლანტის** ოლიმპიური თამაშებისას იქაურ ოლიმპიურ პარკში განხორციელებული ტერორისტული აქტის ავტორის ვინაობა წლების განმავლობაში უცნობი იყო, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, მას მიაკვლიეს და შეიპყრეს კიდეც. იგი აღმოჩნდა ერიკ რუდოლფი, რომელსაც ამერიკაში თურმე სხვა ტერორისტული აქტებიც განუხორციელებია, მაგრამ ოლიმპიურ პარკში 1996 წლის 27 ივლისის აფეთქება, გასაგებ მიზეზთა გამო, ყველაზე რეზონანსული აღმოჩნდა.

იმ აფეთქების შედეგად 100-ზე მეტი კაცი დაიჭრა და ერთი ქალი დაიღუპა, ხოლო ერთი თურქ მასკაცს შიშით გული გაუსკდა. არადა, ამ დღეებში სასამართლოს შენობაში რუდოლფმა განაცხადა, გულწრფელად მჯეროდა, რომ ეს იქცევა უდანაშაულო მოქალაქეებს... არაფერს ავნებდა, მერე კი თავისი აფეთქების მსხვერპლთა და დაშავებულების ბოდიშიც მოუხადა.

რაღა თქმა უნდა, ამ ბოდიშმა 38 წლის ერიკ რუდოლფს ვერ უშველა და ტერორისტული აქტების სერიისთვის სამუდამო პატიმრობაც დაიმსახურა.

# პესოას შარშანდელი მიართვეს

**ცნობილ** ბრაზილიელ ცხენოსან როდრიგო პესოას ახლახან ათენური ოლიმპიური თამაშების ოქროს მედალი გადასცეს.

შეგახსენებთ, რომ შარშან ათენში გამართულ ოლიმპიადაზე ცხენოსნობაში პირველი ადგილი ირლანდიელმა კიანო კონერმა დაიკავა, თუმცა შემდეგ მის ბედაურს, სახელად უოტერფორდ კრისტალს, სისხლში დოპინგი აღმოუჩინეს და შედეგიც გაუუქმეს.

პესოას დაჯილდოების ცერემონიალს თვით საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ჟაკ როგი და ბრაზილიის ოლიმპიური კომიტეტის შეფი არტურ ნუზმანი ესწრებოდნენ. ისე რომ, ათენური ვერცხლის მედალი ამერიკელ კრის კაპლერზე გადავიდა, ბრინჯაო კი გერმანელ მარკო კუნერზე.

# ჩირაღდნის ირგვლივ ვარსკვლავთცვენაა

**ასი** დღის მერე დაიწყება გაისად გასამართი ტურინის ზამთრის ოლიმპიური თამაშების ჩირაღდნის ესტაფეტა, რომელშიც 10 000 კაცი მიიღებს მონაწილეობას.

ესტაფეტა 8 დეკემბერს სტარტს აიღებს რომში და 10 თებერვალს ტურინში ოლიმპიურ სტადიონზე დასრულდება.

ესტაფეტის სპონსორმა SAMSUNG ELECTRONICS-მა გამოაცხადა სპორტსმენ მეჩირაღდნეთა ვინაობა. ესენი არიან: სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი, ათგზის მსოფლიოს ჩემპიონი, რუსი ფიგურულად მოცურავე ირინა როდნინა. ამ სახელოვანთა ნუსხაში პირველი ოლიმპიური ჩემპიონი ლილე ჩეჩი, იტალიელი კალათბურთელი დინო მენეგინი, რომელმაც დაამხო მსოფლიოს რეკორდი, როცა 836 თამაშში 8560 ქულა მოაგროვა, 50 კმ-ზე სპორტულ სიარულში ოლიმპიური ჩემპიონი და პირველი ათლეტი, ვინც გრძელ და მოკლე დისტანციებზე გაიმარჯვა, პოლონელი რობერტ კორჟენევსკი, სამთო-სათხილამურო სპორტის რეკორდული მონაგარის მფლობელი ფრანც კლამერი, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი ამავე სახეობაში იტალიელი ალბერტო ტომბა და სხვები.





# ნიგერიელი უკრაინელს ემუქრება

**ნიგერიელი სუპერმძიმე წონის მოკრივე სემუელ პიტერი ახლა ამერიკის ქალაქ რენოში ვლადიმერ კლიჩკოს წინააღმდეგ 24 სექტემბერს გასამართი ბრძოლისთვის ემზადება.**

**ამ** შეხვედრაში გამარჯვებული ერთბაშად ორი WBO და IBF-ის ვერსიებით გახდება მსოფლიოს ჩემპიონობის უცილობელი პრეტენდენტი. ამას გარდა, ბევრი ექსპერტი თვლის, რომ ამ ორი მოკრივის შეხვედრაში გამარჯვებულს ყველაზე მეტი რეალური შანსი ექნება, რათა ბოლო წლებში სუპერმძიმე წონაში მთელს დედამიწაზე იბატონოს.

პიტერის გამარჯვება დაამტკიცებს, რომ მას ძალუძს გაუმკლავდეს ისეთ მეტოქეებს, რომლებიც მას ტექნიკითა და გაბარიტებითაც აღემატებიან.

იმ შემთხვევაში, თუ კლიჩკო იმარჯვებს, მაშინ შეიძლება მივიჩნიოთ, რომ მან მეტწილად გადაწყვიტა ის პრობლემა, რომელიც დაკავშირებული იყო დარტყმის დაჭერასთან და მორალურ ნებელობასთან საკითხებთან, რადგან ახლა ძნელია ნიგერიელზე ძლიერი და მრისხანე სუპერმძიმეწონოსანი მოკრივის მოძებნა.

როცა პიტერი უმცროს კლიჩკოსთან მომავალი ბრძოლის გეგმებზე საუბრობდა, თქვა, რომ მეტოქეს უთუოდ ნოკაუტში გავისტუმრებ და უკრაინელმა, სრულიად შესაძლებელია, ვერც კი გაიგოს პირველსავე რაუნდში ბრძოლის დასრულების მაუწყებელი გონგის ხმა.

„კლიჩკოს, როცა მომესურვება, ნებისმიერ დროს ნოკაუტში ჩავაგდებ. უკრაინელის მწვრთნელმა იწინასწარმეტყველა, რომ პირიქით, მისი აღსაზრდელი გამისტუმრებს ნოკაუტში, მაგრამ ისინი ცდებიან. მე მათ საწინააღმდეგოს ვუწინასწარმეტყველებ.“

ნიგერიელმა ჟურნალისტებს ისიც მოახსენა, რომ ახლა ვლადიმერ კლიჩკოს წინააღმდეგ საბრძოლველად ცნობილ მძიმეწონოსნებთან რეი ოსტინთან და მორის ჰარისონთან ერთად ვატარებ სპარინგებს და 24 სექტემბრისთვის სრულ მზადყოფნაში ვიქნები.

პიტერი აგრეთვე ფიქრობს, რომ კლიჩკოს ჯები, რომელიც ბევრის აზრით უკრაინელის მთავარი იარაღი და საკვანძო უპირატესობაა მომავალ ბრძოლაში, ვერ შესძლებს მისთვის ვერავითარი ზიანის მიყენებას. ამას საკუთარ ჯებზე ვერ ვიტყვი, დასძინა ბოლოს.

# გამარჯვების გზებზე ვდგებით

ბეკ კარტრაიტი ჩოგბურთელ ლეიტონ ჰიუიტის მეუღლეა და ქმრისგან ბავშვსა და მოგებებს ელის. ქმარმაც, მოგეხსენებათ, არ უმტყუნა, კლაივ ბრანსკილთან 6:1, 6:2, 6:1 მოიგო.



AFP ნიუ იორკიდან




AFP სტამბოლიდან

რუსი კალათბურთელი ფეოდორ ლიხოლიტოვი კალათზე ჰკიდია, გარს კი თურქები არტყიან: მეჰმეთ ოქური, ქერიმ თუნჩერი, მირსად თურქანი და ქერიმ გონლუმი. ჩამოთვლა, ცხადია, მარცხნიდან დაიწყეთ.

# პინგ-პონგ!

აზიის მეჩვიდმეტე ჩემპიონატია მაგიდის ჩოგბურთში და ჩინელები გო იანი და ლიუ შიგენი ფოტოს მეორე მხარეს დარჩენილ კორეელებს, კიმ კიუნგ აჰსა და კიმ ბოკ რაეს 3:2-ს უგებენ. ცნობისათვის, ისინი გოგოები არიან.



AFP ჯაკარტიდან

# ჩაიცვით ადიდასი

NBA-ს ვარსკვლავი ტრეისი მაკგრეიდი „ადიდასს" ჰონკონგში კუნთებით უწევს რეკლამას.



AFP ჰონკონგიდან




AFP სიეტლიდან

სიეტლში, ბეისბოლის სარბიელ „საფეკო ფილდზე" მასპინძელმა „სიეტლ მარინერზმა" „ნიუ იორკ იანკიზთან" 0:2 წააგო, მაგრამ თამაშის მსვლელობისას, ვფიქრობთ, უფრო საყურადღებო რამ მოხდა: მაგანი ქომაგი მოედანზე ჩახტა და დაცვის ბიჭებს რომ არ ეყოჩაღათ, განზრახვას აისრულებდა, დედამისის ფეროვლს მოედანს მიაპნევდა.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ჭოლხეურია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია გაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: [illegible]
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: [illegible]

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: [illegible]
ფოტორეპორტიორები: [illegible]
სტილისტები: [illegible]
კომპიუტერული ცენტრი: [illegible]

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge